კაცები, ქალები და გენდერული უთანასწორობები საქართველოში:

საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება

თბილისი, 2020



კვლევის ანგარიში

კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება

თბილისი, 2020

გამოქვეყნებულია შვედეთის მთავრობის
მიერ დაფინანსებული გაეროს ერთობლივი
პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“
მხარდაჭერით.

ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ
წარმოადგენს გაეროს, გაეროს განვითარების
პროგრამის (UNDP) ან გაეროს მოსახლეობის
ფონდის (UNFPA) შეხედულებებს

საავტორო უფლებები © UNDP და UNFPA
საქართველო, 2020 წ
ყველა უფლება დაცულია.
გამოქვეყნებულია საქართველოში.

მომზადებულია Promundo–ს მიერ გაეროს
ერთობლივი პროგრამის „გენდერული
თანასწორობისთვის“ ფარგლებში.
კვლევის საველე სამუშაო შესრულდა
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ.

ავტორები: დებოლენა რაკშიტი და რუთი
ლევტოვი, მომზადებულია იაგო კაჭკაჭიშვილის
ტექნიკურ ანგარიშზე დაყრდნობით

სარჩევი

შეჯამება 5

შესავალი 7

მეთოდოლოგია 7

შერჩევის მახასიათებლები 7

საველე სამუშაო 8

კვლევის ინსტრუმენტები 8

საბაზისო შედარება 8

თავი 1: სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 9

თავი 2: დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის მიმართ 14

დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის მიმართ 14

მრავალფეროვნება და ინკლუზია: სექსუალურ მრავალფეროვნებასა და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული დამოკიდებულებები 17

თავი 3: ქალი და ლიდერობა 19

ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში 19

პოლიტიკური ჩართულობა 21

ქალები და კარიერა 23

თავი 4: ოჯახური ურთიერთობები და გენდერული დინამიკა 28

განსხვავებები განათლებასა და შემოსავლებს შორის 28

გადაწყვეტილების მიღება წყვილებს შორის 29

აუნაზღაურებელი შრომის განაწილება 32

წყვილებს შორის კომუნიკაცია 36

თავი 5: ურთიერთობები და ძალადობა 37

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელება 37

ბავშვი ხდება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მოწმე 38

ძალადობასთან დაკავშირებული აღქმები და ნორმები 38

რას აღიქვამენ რესპონდენტები ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე გავლენის მქონე ფაქტორად 40

თავი 6: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და დედათა ჯანმრთელობა 42

სქესის მიმართ დამოკიდებულებები და კონტრაცეფცია 42

მამების მონაწილეობა, ბავშვის დაბადებამდე და შემდგომ პროცესებში 43

კაცების მონაწილეობა ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას 44

თავი 7: ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი 45

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ზოგადი მდგომარეობა 45

სხვადასხვა ნივთიერებების მოხმარება და შედეგები 45

ფსიქიკური ჯანმრთელობა, სოციალური მხარდაჭერა და ცხოვრებით კმაყოფილება 45

თავი 8: ბავშვობის გამოცდილება 48

მშობლების განათლება და სამსახური 48

კაცების ჩართულობა საოჯახო საქმეებში 49

ბავშვობის სახლში გადაწყვეტილების მიღებისას მამაკაცების მონაწილეობა 49

საოჯახო საქმის განაწილება ბავშვობისა და სრულწლოვანებისას 50

ძალადობასთან დაკავშირებით ბავშვობაში მიღებული გამოცდილება 50

თავი 9: მოვლა და აღზრდა 52

ბავშვებზე ზრუნვის აქტივობათა გადანაწილება 52

ბავშვის დისციპლინა 53

თავი 10: გენდერული თანასწორობა, კანონი და პოლიტიკა 54

მამის დეკრეტული შვებულების შესახებ კანონმდებლობის აღქმა 54

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის აღქმა 55

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის აღქმა 56

შეხედულებები გენდერული თანასწორობის შესახებ 56

დასკვნები და რეკომენდაციები 57

References 59

- შეჯამება

გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში მომზადებული კვლევის ანგარიში, ნათელს ჰფენს საქართველოში ამჟამად არსებულ გენდერულ ურთიერთობებს და სამომავლო ტენდენციებზეც მიანიშნებს. ანგარიში ეფუძნება საერთაშორისო კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობების“[1] მეთოდოლოგიას და განხილულია რესპონდენტების მხრიდან აღქმისა და ქცევების ცვლილების დინამიკა 2013 წლის შემდეგ, როდესაც IMAGES-ს საქართველოში პირველად გამოქვეყნდა.

როგორც ირკვევა, საქართველოში ქალებს და კაცებს, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, „კონკურენტული“ დამოკიდებულება არ აქვთ. ისინი ქალების გაძლიერებას კაცებისთვის უფლებების ჩამორთმევად არ განიხილავენ. 2013 წლიდან დღემდე, გენდერული თანასწორობის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ცნობიერება, საკმაოდ ამაღლებულია, რაც ნიშნავს, რომ ამჟამად გენდერული თანასწორობის იდეას საქართველოს გაცილებით მეტი მოქალაქე უჭერს მხარს, ვიდრე 6 წლის წინ.

მიუხედავად ამისა, კვლავაც დამკვიდრებულია უთანასწორო დამოკიდებულებები ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და მათი ლიდერობის მიმართ. ათიდან, დაახლოებით, ოთხი კაცი არ თანხმდება, რომ თუ ქალს კაცის თანაბარი კვალიფიკაცია აქვს, მას თანაბარი ხარისხით შეუძლია იგივე სამუშაოს შესრულება. ქალთა ჩართულობის მხრივ მხარდაჭერა საკმაოდ დიდია პოლიტიკის სფეროში, მაგრამ ყოველი მეორე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. რაც შეეხება დასაქმების შესაძლებლობებს, რესპონდენტების აზრით, ამ მხრივ კაცები და ქალები ერთნაირ წინააღმდეგობას აწყდებიან, თუმცა, კარიერული წინსვლისას, ქალებს მეტი სირთულე ხვდებათ. პასუხად კითხვაზე: თუ რას მიიჩნევენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისას ყველაზე დიდ წინააღმდეგობად, ქალებმა საკუთარი ოჯახური მოვალეობები დაასახელეს.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საყოფაცხოვრებო ხარჯის თაობაზე გადაწყვეტილებას ოჯახში ქალები და კაცები ერთობლივად იღებენ და იმასაც ფიქრობენ, რომ, 2013 წლის შემდეგ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარი მონაწილეობის მაჩვენებელი, გაიზარდა. თუმცა, ყოველმა მესამე რესპონდენტმა აქვე აღნიშნა, რომ, როდესაც საქმე შედარებით დიდ ინვესტიციას ეხება, გადაწყვეტილება თანაბარი მონაწილეობით არ მიიღება. როგორც ჩანს, ტრადიციული გენდერული როლები მაინც ახდენს გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მაჩვენებელზე. ასევე, მკვეთრად გენდერული ნიშნით არის განაწილებული საოჯახო საქმეც. ქალები ასრულებენ უამრავ სამუშაოს: ამზადებენ საჭმელს, ალაგებენ სახლს, უვლიან ბავშვებს. მიუხედავად იმისა, რომ, საოჯახო საქმის გამო, ქალებს კაცებზე მეტად ეშლებათ ხელი სამსახურში, სახლში მოვალეობების ამგვარი განაწილებით, ძირითადად, ყველა რესპონდენტი კმაყოფილია. სახლის მოვლა კვლავაც ქალის მოვალეობად მიიჩნევა, და, ამ მხრივ, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად არაფერი შეცვლილა.

ინტიმური პარტნიორის მიერ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინებები საქართველოში იშვიათია. თუმცა, როდესაც საუბარია პარტნიორის მხრიდან ეკონომიკურ ძალადობაზე, ამგვარი გამოცდილების შესახებ ყოველი მეხუთე ქალი აცხადებს, ხოლო ყოველი მესამე კაცი ამგვარი ქმედების ჩადენას ადასტურებს. დაახლოებით, ყოველ მეოთხე ქალს განუცდია ემოციური ძალადობა. პარტნიორის მხრიდან ძალადობის მიმართ დამოკიდებულება ზოგადად უარყოფითია, მაგრამ ყოველი მესამე კაცი და ყოველი მეოთხე ქალი ამბობს, რომ ქალი ქმარს სექსზე უარს ვერ ეტყვის, ხოლო კაცების თითქმის ნახევარი ამბობს, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საკითხია.

[1] International Men and Gender Equality Survey (IMAGES)

სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ კითხვებზე რესპონდენტების უმრავლესობამ უპასუხა, რომ კონტრაცეფციის საკითხი წყვილმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტოს, თუმცა ბევრი მათგანი კვლავაც მიიჩნევს, რომ ორსულობის არიდება მხოლოდ ქალის პასუხისმგებლობაა. მასკულინობის იდეა კვლავ ჰიპერსექსუალურ მამაკაცთანაა დაკავშირებული. ათიდან ექვსი კაცის აზრით, ისინი ყოველთვის მზად არიან სექსისთვის. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ახლა შვილის დაბადებას მეტი კაცი ესწრება, ხოლო მომავალი მამების დაახლოებით ნახევარი პარტნიორს ანტენატალურ ვიზიტებზეც ახლავს. რესპონდენტებმა, რომლებმაც შეწყვიტეს ორსულობა ან მათ, ვისმა პარტნიორებმაც ეს გააკეთეს, განაცხადეს, რომ აბორტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უმეტესად, კაცებიც მონაწილეობდნენ და პარტნიორს პროცედურის ჩასატარებლად ფინანსური დახმარება გაუწიეს.

რესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საკუთარ თავს ჯანმრთელად მიიჩნევს. თუმცა, შედეგები მოწმობს, რომ კაცები სამედიცინო დაწესებულებებს არარეგულარულად აკითხავენ, ხოლო ყოველი მეხუთე კაცი აცხადებს, რომ ექიმისთვის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ მიუმართავს. ალკოჰოლის ჭარბად მიღების ჩვევა, რომელიც ძირითადად ჰიპერმასკულინობასთან ასოცირდება, კაცებს შორის დომინირებს. ათიდან რვა ქალმა განაცხადა, რომ, გასული წლის განმავლობაში, ჭარბი დოზით ალკოჰოლი არ მიუღია, როდესაც იგივე მხოლოდ ათიდან ორმა კაცმა აღნიშნა. გამოკითხულთაგან, ყოველმა მესამე რესპონდენტმა განაცხადა, რომ დეპრესიის სიმპტომებს ბოლო ორი კვირის განმავლობაში განიცდიდა. მათ შორის ქალები ჭარბობდნენ.

კვლევამ აჩვენა, რომ ქალებისა და კაცების უმრავლესობა არ გაზრდილა ისეთ გარემოში, სადაც საოჯახო საქმეში მამებიც მონაწილეობდნენ. ათიდან მხოლოდ ორი კაცი და ქალი გაიზარდა სახლში, სადაც მამა საოჯახო რუტინაში იყო ჩართული, ანუ სახლს ალაგებდა და საჭმელს ამზადებდა. დაახლოებით, ყოველი მეორე რესპონდენტის მამა ზრუნავდა მასზე ბავშვობაში. გადაწყვეტილების მიღებისა და საოჯახო საქმეების განაწილების ბავშვობის სახლში არსებული გენდერული მოდელები, ხშირად ადამიანის ზრდასრულ ცხოვრებაშიც მეორდება. დაახლოებით, ყოველმა მეხუთე კაცმა თქვა, რომ სკოლაში დაუსჯიათ, ხოლო ქალების შემთხვევაში იგივე ათიდან მხოლოდ ერთმა ქალმა განაცხადა. ბავშვობაში თითქმის ყოველ მეათე ქალს და კაცს გამოუცდია სახლში მკაცრად დასჯა.

შვილებზე ზრუნვის თაობაზე საუბრისას გამოვლინდა, რომ რესპონდენტები მათ მოვლას, ძირითადად, ქალების მოვალეობად მიიჩნევენ, ანუ ოთხიდან სამმა ქალმა და კაცმა განაცხადა, რომ ბავშვებს საფენებსა და ტანსაცმელს თითქმის ყოველთვის ქალები უცვლიდნენ. მამების ნახევარმა განაცხადა, რომ არასოდეს გამოუცვლია ბავშვისთვის საფენი ან ტანსაცმელი და თითქმის ამავე რაოდენობამ თქვა, რომ არასოდეს დაუბანია ბავშვი. შვილის მკაცრად დასჯას, დაახლოებით, სამიდან ორი მამა და დედა აღიარებს.

გენდერთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონების მიმართ დამოკიდებულება, ძირითადად, დადებითია. დაახლოებით, სამიდან ორი რესპონდენტი კაცი და ქალი მხარს უჭერს ორივე მშობლის, კონკრეტულად, მამის დეკრეტული შვებულების გამოყენებას. თუმცა, ორიდან ერთზე ნაკლებმა რესპონდენტმა იცოდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ახალბედა მამებს უკვე აძლევს დეკრეტული შვებულების აღების შესაძლებლობას. ქვეყანაში არსებული გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი კანონმდებლობის შესახებ ყოველ მეორეზე ოდნავ მეტმა რესპონდენტმა იცის, ხოლო რესპონდენტთა უმრავლესობა ქალების მიმართ ძალადობის აკრძალვის მხარდამჭერი კანონების არსებობის შესახებ ფლობს ინფორმაციას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, თანასწორობის მიმართ მზაობისა და პოტენციური ცვლილებების მხარდაჭერესთან ერთად, კვლავაც შენარჩუნებულია უთანასწორო

დამოკიდებულებები და ქცევები. 2013 და 2019 წლების მონაცემების შედარება როგორც სახლში, ისე მის გარეთ, იმედისმომცემ ცვლილებებს გვაჩვენებს, თუმცა თანასწორობის შენარჩუნებისა და პროცესის დასაჩქარებლად, უწყვეტი ყურადღება და რესურსია საჭირო.

- შესავალი

გაეროს ერთობლივი პროგრამა „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში მომზადებული ანგარიში, საქართველოში გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული აღქმებისა და დამოკიდებულებების რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგებს წარმოადგენს. წინამდებარე კვლევის 2013 წელს ჩატარებულ მსგავს კვლევებთან შედარებით, გენდერული თანასწორობის სხვადასხვა საკითხის არაერთი კუთხით განვითარების ტენდენციების განსაზღვრაა შესაძლებელი.

რაოდენობრივი კვლევა ეფუძნება საერთაშორისო კვლევას „კაცები და გენდერული ურთიერთობები“ (IMAGES), რომელიც ერთობლივად მოამზადეს Promundo-მ და ქალთა საკითხების კვლევის საერთაშორისო ცენტრმა. IMAGES-ი ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი შინამეურნეობის კვლევაა, რომელიც გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს. კვლევა ორმოცზე მეტ ქვეყანაში, კონკრეტული კონტექსტის შემცველი კითხვარებით ჩატარდა. IMAGES-ის მონაცემები მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას გენდერული ნორმების, შინამეურნეობის დინამიკის, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის, ბავშვობის გამოცდილებისა და სხვა თემების შესახებ. IMAGES-ის მონაცემებმა და დასკვნებმა წვლილი შეიტანეს ქვეყნებში მტკიცებულებაზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავებაში, საზოგადოებრივ კამპანიებში, ადგილობრივი და ეროვნული პოლიტიკის ცვლილებასა და გენდერული თანასწორობის პროგრესის შესახებ გლობალურ დიალოგში. IMAGES-ის კვლევის მიზანია უზრუნველყოს მონაცემები და დასკვნები, რათა უკეთ იყოს გაცნობიერებული გენდერისა და მასკულინობის გავლენა ქვეყნის კეთილდღეობასა და განვითარების შედეგებზე. მომდევნო ნაწილში განხილულია კვლევის დიზაინი, ხოლო დანარჩენი ანგარიში ეხება რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების შედეგების თემატურ მიმოხილვას.

- მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავს რაოდენობრივ და თვისობრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი კვლევა ფარავს მთელ საქართველოს (საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს), ხოლო თვისობრივი კვლევა ჩატარდა ხუთ რეგიონში. რაოდენობრივი კვლევის რეპრეზენტატული შერჩევა განხორციელდა 18 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობიდან. რესპონდენტები გამოკითხეს პირისპირ ინტერვიუს მეშვეობით. თვისობრივი კვლევა ჩატარდა ფოკუსჯგუფებში დისკუსიების (FGDs) მეთოდით. ფოკუსჯგუფების დისკუსიების დასკვნები გამოიყენეს კვლევის საქართველოს კონტექსტთან ადაპტირებისა და მნიშვნელოვან საკითხებზე უკეთ კონცენტრირების მიზნით.

შერჩევის მახასიათებლები

კვლევის შერჩევის მოცულობა: 2408 რესპონდენტი. შერჩევა რეპრეზენტატულია ქვეყნის დონეზე.

შერჩევის დიზაინი: 2014 წლის მოსახლეობის აღწერისთვის შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულია მრავალეტაპიანი სტრატიფიცირებული (კლასტერი) შერჩევა. შერჩევის დიზაინი განისაზღვრა გეოგრაფიული და დემოგრაფიული მახასიათებლების რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად. თბილისსა და ათ რეგიონზე შერჩევის განაწილების პროპორცია უზრუნველყოფს შერჩევის ცდომილებების შედარებით თანაბარ მნიშვნელობას. შერჩევის პირველ ეტაპზე, მთელი მოსახლეობა დაჯგუფდა ტერიტორიული და დემოგრაფიული ერთეულების სტრატებად. ყოველი სტრატის კვოტა პროპორციულად ნაწილდება 18 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაზე. შესაბამისად, შეიქმნა შერჩევის დეტალური ჩარჩო, რომლის

საფუძველზეც მოსახლეობა რეგიონების, მუნიციპალიტეტების, ქალაქებისა და სოფლების მიხედვით განაწილდა.

საველე სამუშაო

რაოდენობრივი კვლევა:

ინტერვიუები ჩატარდა შინამეურნეობებში, კიშის შერჩევის ბადით განსაზღვრულ რესპონდენტებთან. ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს შერჩევის მაქსიმალურ შემთხვევითობას, რომელიც საიმედო მონაცემების შეგროვების აუცილებელი წინაპირობაა.

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეწონილია ქვეყნის მოსახლეობაზე, სქესის მიხედვით.

თვისობრივი კვლევა:

ათი ფოკუსჯგუფი თბილისში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიაში შედგა. თითოეულ რეგიონში ჩატარდა შეხვედრები ორ ფოკუსჯგუფთან. ფოკუსჯგუფებში მონაწილეობდნენ განსხვავებული სოციოეკონომიკური პროფილისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (25-დან 70 წლის ჩათვლით) წარმომადგენელი ზრდასრული კაცები და ქალები.

კვლევის ინსტრუმენტები

კვლევისთვის ინსტრუმენტად შეირჩა საერთაშორისო კვლევა „კაცები და გენდერული თანასწორობის“ (IMAGES) კითხვარი, რომელიც, თვისობრივი კვლევის დასკვნების საფუძველზე, კონტექსტუალურად იყო ადაპტირებული. კვლევაში შედის დახურული, ნახევრად დახურული და, რიგ შემთხვევაში, ღია კითხვები, ხოლო თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტი იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი ან ფოკუსჯგუფების სახელმძღვანელო მითითებები.

საბაზისო შედარება

ანგარიშის სხვადასხვა მონაკვეთებში წარმოდგენილია 2019 წლის მონაცემების შედარება საბაზისო მონაცემებთან, რომელიც შეგროვდა 2013 წელს და აისახა ორ ანგარიშში. ესენია: UNDP-ის მომზადებული „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ და UNFPA-ს მომზადებული „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“.

თავი 1: სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

შერჩევა მოიცავს დაახლოებით 1102 კაცს (46 პროცენტი) და 1296 ქალს (54 პროცენტი).[1] ცხრილი 1.1 წარმოადგენს შერჩევის დემოგრაფიულ მახასიათებლებს, ხოლო ცხრილი 1.2 გამოკვეთს შერჩევის სოციოეკონომიკურ მახასიათებლებს:

ცხრილი 1.1: შერჩევის დემოგრაფიული მახასიათებლები[2]

ფონური მახასიათებლები	*ქალი %*	*კაცი %*	*სულ %*	*სულ N*
ასაკი				
18-24	10.9	13.6	12.4	292
25-34	17.3	19.9	18.5	443
35-44	15.3	18.5	17.4	403
45-54	18.0	16.8	17.4	418
55-64	16.0	15.1	15.6	375
65+	22.5	16.1	19.5	468
დასახლების ტიპი				
ქალაქი	57.3	57.0	57.2	1,370
სოფელი	42.7	43.0	42.8	1,026
განათლების უმაღლესი დონე				
ფორმალური განათლების გარეშე, მაგრამ წიგნიერი	1.6	0.5	1.1	26
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური (1-6 კლასები)	0.4	0.8	0.6	14
ზოგადი განათლების საბაზისო საფეხური (7-9 კლასები)	5.0	4.4	4.7	113
სრული ზოგადი განათლება/საშუალო განათლება (10-12 კლასები)	23.5	34.8	28.7	688
ზოგად განათლებაზე დაფუძნებული პროფესიული განათლება	24.1	16.6	20.7	495
არასრული უმაღლესი განათლება	5.9	4.4	5.2	124
უმაღლესი განათლება	39.5	38.4	39.0	934

[1] რამდენიმე რესპონდენტმა (N=5) უარი თქვა ეპასუხა საკუთარი გენდერის შესახებ, ამიტომ ეს მონაცემები არ შევიდა ფონური მახასიათებლების სქესის მიხედვით ცხრილში, მაგრამ შევიდა მთლიანში.

[2] ცხრილსა და მთლიან ანგარიშში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები ასახავენ შეწონილ მონაცემებს; N (რესპონდენტების რაოდენობა) გამოხატავს რესპონდენტების რაოდენობას და არ არის ზუსტად შეწონილი.

ფონური მახასიათებლები	*ქალი %*	*კაცი %*	*სულ %*	*სულ N*
მიმდინარე ურთიერთობების სტატუსი				
არ არის ურთიერთობაში/მარტოხელა	17.3	25.9	21.3	509
დაურეგისტრირებელი ქორწინება, საეკლესიო ქორწინება	5.6	2.6	4.2	101
რეგისტრირებული ქორწინება	50.4	61.0	55.3	1,327
ცხოვრობს პარტნიორთან ერთად, არ არის დაქორწინებული (დაურეგისტრირებელი ქორწინება)	1.9	1.4	1.7	40
ჰყავს პარტნიორი, არ ცხოვრობენ ერთად	0.5	1.5	1.0	24
დაცილებული ან განქორწინებული	4.4	3.6	4.0	98
ქვრივი	19.7	3.9	12.4	297
ამჟამად დაქორწინებული ან თანაცხოვრებაში	**57.9**	**65.0**	**61.2**	**1,468**
ეთნიკური წარმომავლობა				
ქართველი	90.8	91.7	91.2	2,187
სომეხი	3.2	3.3	3.2	77
აზერბაიჯანელი	4.9	4.5	4.7	112
სხვა	1.2	0.5	0.9	21
რელიგია				
მართლმადიდებელი ქრისტიანი	91.3	91.0	91.2	2,171
მუსლიმი	7.2	7.2	7.2	170
კათოლიკე	0.0	0.4	0.2	4
პროტესტანტი	0.2	0.1	0.2	4
რელიგიის გარეშე (ათეისტი/აგნოსტი)	0.5	1.2	0.8	19
სხვა	0.8	0.2	0.4	12

- კვლევის ყოველი ხუთი რესპონდენტიდან, ერთი 65 წლის ან უფროსი ასაკისაა; რესპონდენტებს შორის ქალების პროპორცია კაცებზე მაღალია. მოცემულ ასაკობრივ განაწილებაში, დიდია ქვრივი ქალების წილი (დაახლოებით, ხუთიდან ერთი). ქალების, დაახლოებით, 60, ხოლო კაცების 65 პროცენტი, მოცემული მომენტისთვის, ქორწინებაში ან თანაცხოვრებაში იყო.
- რესპონდენტებს კარგი განათლება ჰქონდათ. ქალებისა და კაცების, დაახლოებით, 40 პროცენტს ჰქონდა უმაღლესი განათლება.
- შერჩევის დიდი უმრავლესობა, დაახლოებით, 90 პროცენტი, ქართველები არიან და იდენტიფიცირდებიან, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები.

ცხრილი 1.2: შერჩევის სოციოეკონომიკური მახასიათებლები [3]

ფონური მახასიათებლები	*ქალი %*	*კაცი %*	*სულ %*	*სულ N*
დასაქმების სტატუსი				
არასოდეს უმუშავია	13.1	4.2	9.0	220
სტუდენტი	3.9	3.2	3.6	87
უმუშევარი	20.4	19.9	20.2	489
ფორმალურად დასაქმებული/კვალიფიციური	28.8	33.0	30.8	747
არაფორმალურად დასაქმებული/არაკვალიფიციური	9.5	24.0	16.2	393
პენსიონერი	22.3	13.9	18.4	421
სწავლობს და მუშაობს	1.0	0.5	0.8	19
დეკრეტულ (დედის, მამის) ან სხვა შვებულებაში	0.3	0.0	0.2	4
დასაქმების სექტორი				
საჯარო სექტორი	46.4	24.5	34.2	397
კერძო სექტორი	39.7	47.6	43.3	502
თვითდასაქმებული (ფერმერული)	2.7	9.0	6.2	72
თვითდასაქმებული (არა ფერმერული)	9.6	17.6	14.9	163
საერთაშორისო	0.2	0.2	0.2	2
არასამთავრობო სექტორი	0.6	0.3	0.4	5
მომვლელი	1.9	0.0	0.9	10

[3] ცხრილსა და მთლიან ანგარიშში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები ასახავენ შეწონილ მონაცემებს; N (რესპონდენტების რაოდენობა) გამოხატავს რესპონდენტების რაოდენობას და არ არის ზუსტად შეწონილი.

ფონური მახასიათებლები	*ქალი %*	*კაცი %*	*სულ %*	*სულ N*
შინამეურნეობის შემოსავლის მთავარი წყარო				
თავად	17.9	40.6	28.6	686
პარტნიორი	26.5	5.1	16.7	402
თავად და პარტნიორი, დაახლოებით, თანაბრად	16.3	18.2	17.2	414
მშობლები	12.1	18.1	14.6	351
სხვა ნათესავები	5.9	3.4	4.7	112
პენსია	12.8	8.1	10.6	255
მთავრობის დახმარება (სოციალური შემწეობა)	1.6	1.2	1.4	34
სხვა	6.1	5.1	5.4	135
ყოველთვიური შემოსავალი				
100 ლარზე ნაკლები	1.7	2.1	1.9	45
101-300 ლარი	32.8	15.3	24.7	580
301-500 ლარი	14.8	12.3	13.6	328
501-700 ლარი	10.2	14.1	12.0	291
701-1000 ლარი	8.0	13.6	10.6	257
1000 ლარზე მეტი	7.8	18.4	12.7	307
არ აქვს საკუთარი შემოსავალი	20.1	12.3	16.5	404
არ აქვს რეგულარული შემოსავალი	1.7	9.9	5.5	132
უარი თქვა პასუხზე	2.9	2.0	2.4	59

ფონუხი მახასიათებლები	*ქალი %*	*კაცი %*	*სულ %*	*სულ N*
რომელი დებულება აღწერს ყველაზე უკეთ თქვენს ოჯახს:				
საკვებ პროდუქტს ძლივს ვყიდულობთ	12.2	10.5	11.4	271
გვაქვს პროდუქტისთვის საკმარისი ფული, მაგრამ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	31.7	36.0	33.7	809
გვაქვს საკმარისი ფული პროდუქტისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ კარგი ტანსაცმლის, მობილური ტელეფონის, მტვერსასრუტის თუ სხვა საოჯახო ტექნიკის საყიდლად, ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	36.7	36.7	36.7	883
გვაქვს საკმარისი ფული პროდუქტისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ მანქანის ან ბინის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს	15.1	13.6	14.4	349
შეგვიძლია ნებისმიერ დროს ვიყიდოთ, რაც გვინდა	1.1	0.4	0.7	18
არ ვიცი ან უარი პასუხზე	3.2	2.9	3.0	73

- ქალებზე თითქმის ორჯერ მეტმა კაცმა თქვა, რომ საკუთარი ოჯახის შემოსავლის წყარო თავად იყო, ხოლო ხუთიდან ერთზე ნაკლებმა აღნიშნა, რომ, ამ მხრივ, ორივე პარტნიორს თანაბარი წვლილი ჰქონდა. ათიდან, დაახლოებით, ერთმა აღიარა, რომ საკვები პროდუქტის ყიდვა უჭირდა, უმრავლესობამ კი განაცხადა, რომ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება შეეძლო, მაგრამ ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა თუ სხვა ნივთების საყიდლად, ფულის დაზოგვა ან სესხება უწევდა.

- როგორც გამოვლინდა, საშუალოდ, ქალებს კაცებზე დაბალი ყოველთვიური შემოსავალი ჰქონდათ: ქალების ნახევარმა და კაცების 30 პროცენტმა განაცხადა, რომ მათი შემოსავალი თვეში 500 ლარზე ნაკლებს შეადგენდა. უფრო დიდმა ნაწილმა პირადი შემოსავლის არქონის შესახებ განაცხადა.

- ათიდან, დაახლოებით, ექვსი კაცი იყო დასაქმებული - ძირითადად კვალიფიციურ სამუშაოზე. ქალების დიდი ნაწილი პენსიაზე იყო. ქალები, უმეტესად, საჯარო სექტორში იყვნენ დასაქმებული, ხოლო კაცები - კერძო სექტორში.

დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის მიმართ

IMAGES-ის კვლევა მიზნად გენდერული თანასწორობის შესახებ რესპონდენტების მოსაზრებების შეფასებას ისახავს. მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის ქვეშ გათვალისწინებული გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამოცანის შესრულება, სქესთა შორის თანასწორობის იდეის ფართომასშტაბიან მხარდაჭერას მოითხოვს. ამ ნაწილში აღწერილია რესპონდენტების აღქმა, თუ რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა ქალებისა და კაცების უფლებებისთვის, არის თუ არა საჭირო ქვეყანაში გენდერული თანასწორობა და უკვე მიღწეულია თუ არა. ამ ნაწილში ასევე შეტანილია შეხედულებები გენდერული მემკვიდრეობის, სექსუალური მრავალფეროვნებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ.

- **ზოგადად, გენდერული თანასწორობის მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულება კონკურენტული არ ყოფილა.** როგორც სურათ 2.1-ში ჩანს, თითქმის არცერთი რესპონდენტი დაეთანხმა ან სრულიად დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ქალების გაძლიერება კაცებს უფლებებს, ქალების დასაქმება კი კაცებს სამუშაო ადგილებს ართმევს. უმრავლესობა (ქალების 63 და კაცების 54 პროცენტი) აღიარებს, რომ უთანასწორობა კვლავაც არსებობს და არ ეთანხმება აზრს, რომ გენდერული თანასწორობა მიღწეულია. თუმცა, კაცების მხოლოდ,

გაიზარდა მგრძნობელობა გენდერული უთანასწორობის მიმართ.



2019 წელს გამოკითხული

ქალების 63%

და კაცების 54% მიიჩნევს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა ჯერ არ არის მიღწეული.

2014 წელს ამ მოსაზრებას ქალების და კაცების **ნახევარიც კი არ იზიარებდა.**

დაახლოებით, ნახევარი და ქალების ორი მესამედი არ ეთანხმება აზრს, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით გაწეული ძალისხმევა მხოლოდ მდიდრებისთვის არის სასარგებლო; ამდენად, გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს არ სჯერა, რომ გენდერულ თანასწორობას ყველასთვის აქვს მნიშვნელობა.

- **2013 წლიდან, გენდერული თანასწორობის საჭიროებასთან დაკავშირებით ცნობიერება ნამდვილად ამაღლდა, მაგრამ მთელი რიგი (უკვე თანასწორი) დამოკიდებულებები უცვლელი დარჩა.** 2013 წელს, კაცების 42 პროცენტი და ქალების 47 პროცენტი არ იზიარებდა, რომ გენდერული თანასწორობა მიღწეულია. ეს წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით, ქალებში. 2013 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა იმ რესპონდენტების წილიც, რომლებიც არ მიიჩნევენ, რომ ქალების გაძლიერება კაცებს უფლებებს ან სამუშაო ადგილებს ართმევს. ახლა მეტი ქალი არ ეთანხმება, რომ გენდერული თანასწორობა მხოლოდ მდიდრებისთვის არის სასარგებლო (შედარებისთვის: 66 პროცენტი 2019 წელს და 58 პროცენტი 2013 წელს). თუმცა, კაცების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი პირიქით შეიცვალა (50 პროცენტი 2019 წელს, ხოლო 58 პროცენტი 2013 წელს).

სურათი 2.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც არ ეთანხმებიან ან სრულიად არ ეთანხმებიან მოსაზრებებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით



„ROCA ქალები იღებენ უფლებებს, ისინი ამ უფლებებს, ფაქტობრივად, კაცებს ართმევენ.“

ამას **არ** ეთანხმება

2019 წელს

2013 წელს



- **2013 წლიდან გარკვეულწილად მოიმატა იმ რესპონდენტების წილმაც, რომლებიც მხარს უჭერენ გენდერულ თანასწორობას.** მაგალითად, 2013 წელს, რესპონდენტების 80 პროცენტი არ დაეთანხმა აზრს, რომ ქალები კაცებს სამუშაოს ართმევენ. მაღალია ცნობიერება გენდერული უთანასწორობის შენარჩუნებასთან დაკავშირებითაც. 2013 წელს, ქალებისა და კაცების, დაახლოებით, ნახევარი არ ეთანხმებოდა აზრს, რომ გენდერული თანასწორობა უკვე მიღწეულია, როდესაც 2019 წელს, ეს წილი დაახლოებით ორ მესამედამდე გაიზარდა.

- **ფოკუსჯგუფების მონაწილეებმა, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, განსხვავებული აზრი გამოთქვეს.** ფოკუსჯგუფების ქალი მონაწილეების აზრით, ქალებსა და კაცებს შორის გენდერული თანასწორობის ზრდის ნიშნები აშკარაა. მაგალითად, ახლა მეტ ქალს აქვს გარკვეული შემოსავლის წყარო, რაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საფუძველს უქმნის. „ოჯახების, დაახლოებით, 80 პროცენტში ქალები გახდნენ მარჩენლები, ხოლო კაცები იმდენს ვეღარ გამოიმუშავებენ, რამდენსაც ქალები“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ქუთაისი). ფოკუსჯგუფების დისკუსიების ზოგიერთ კაც მონაწილეს მიაჩნია, რომ გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვანი არ არის და მის პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას მხოლოდ გარკვეული საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები ეწევიან.

უჯრა 2.1: მემკვიდრეობასთან დაკავშირებული შეხედულებები

მემკვიდრეობასთან დაკავშირებული შეხედულებები ხშირად ავლენს ღრმად ფესვგადგმულ გენდერულ იდეებსა და უპირატესობებს. საქართველოში, დაახლოებით, ყოველი მესამე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მშობლების ქონება სრულად ან, მისი უდიდესი ნაწილი, ვაჟს უნდა გადაეცეს. რესპონდენტების 62 პროცენტი ფიქრობს, რომ მშობლების ქონება (საცხოვრისი) თანაბრად უნდა განაწილდეს ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის, 20 პროცენტი ამბობს, რომ მემკვიდრეობა მთლიანად ვაჟს უნდა დარჩეს, ხოლო 15 პროცენტის აზრით, ვაჟმა მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი უნდა მიიღოს. მემკვიდრეობის დიდი წილის ან სრულად მიღების უპირატესობა ვაჟებს თითქმის თანაბრად მიანიჭეს ქალებმა და კაცებმა - კაცების 38 და ქალების 34 პროცენტმა. ასევე უმრავლესობა - 67 პროცენტი ეთანხმება, რომ მიწა მემკვიდრეებს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს, გენდერის მიხედვით განსხვავების გარეშე. ძვირფასი ნივთების, ფულის, ავტომანქანებისა და სხვა მოძრავი ქონებისა და ოჯახის ბიზნესის მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით, რესპონდენტების 70 -77 პროცენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანაბრად უნდა განაწილდეს ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის, ხოლო 16-28 პროცენტის აზრით, ქონება სრულად ან მისი დიდი ნაწილი ვაჟს უნდა გადაეცეს.

ეს დასკვნები მემკვიდრეობის თანაბრად განაწილების შესახებ შეხედულებების ფართოდ გავრცელების ტენდენციას ასახავს. 2013 წელს, რესპონდენტების მხოლოდ 44 პროცენტი მიიჩნევდა, რომ მშობლების ქონება თანაბრად უნდა განაწილებულიყო, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 62 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე, 2013 წელს რესპონდენტების დაახლოებით ნახევარმა მიიჩნია, რომ მიწა თანაბრად უნდა განაწილებულიყო ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის, 2019 წელს კი ეს მაჩვენებელი ორ მესამედზე მეტი გახდა.

მრავალფეროვნება და ინკლუზია: სექსუალურ მრავალფეროვნებასა და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული დამოკიდებულებები

- საქართველოში, ქალებსა და მამაკაცებს შორის, კვლავაც ნარჩუნდება ჰომოფობიური დამოკიდებულებები. როგორც სურათზე 2.2 ჩანს, რესპონდენტებს, განსაკუთრებით, კაცებს, ღრმად აქვთ გამჯდარი ჰომოფობიური შეხედულებები. ქალების ნახევარზე მეტი და ათიდან რვა კაცი აცხადებს, რომ არასოდეს ეყოლება ჰომოსექსუალი მეგობარი. კიდევ უფრო მეტს სჯერა, რომ ჰომოსექსუალებს არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება, და რომ ჰომოსექსუალი შვილის ყოლა სამარცხვინოა. ფოკუსჯგუფების შედეგებმა თანაბრად გამოავლინა ჰომოფობიური დამოკიდებულებები და ქცევები.

სურათი 2.2: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან ჰომოსექსუალიზმთან დაკავშირებულ შეხედულებებს



- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დამოკიდებულებაში ბევრად მაღალი მიმღებლობა გამოვლინდა.** მხოლოდ მეოთხედზე ცოტა მეტმა კაცმა და ქალმა განაცხადა, რომ ვერ შეძლებდა შშმ პარტნიორის ყოლას, და მხოლოდ ქალების 13 პროცენტმა და კაცების 15 პროცენტმა თქვა, რომ შერცხვებოდა შშმ შვილის ყოლა.

ცხრილი 2.1: პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა და კაცებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან შშმ პირებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს

ვეჰასოდეს შევძლებ მყავდეს შშმ მეუღლე ან პარტნიორი	*Women*	*Men*
სრულიად ვეთანხმები	7.1	8.2
ვეთანხმები	18.8	19.2
არ ვეთანხმები	59.6	36.1
სრულიად არ ვეთანხმები	7.2	19.0
უარი პასუხზე	7.2	17.5
შემრცხვებოდა შშმ შვილის ყოლა		
სრულიად ვეთანხმები	6.4	2.2
ვეთანხმები	6.4	12.8
არ ვეთანხმები	62.1	41.6
სრულიად არ ვეთანხმები	20.1	34.9
უარი პასუხზე	5.0	8.5

ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ლიდერობა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის კონტექსტში, მნიშვნელოვანი საკითხია. ეს, ასევე, ერთ-ერთი სფეროა, სადაც გენდერული ნორმები და სტრუქტურული ბარიერები ხელს უშლიან თანასწორობის მიღწევას. ამ ნაწილში საუბარია ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, კარიერული წინსვლისა და ლიდერობის შესახებ გამოკითხვის შედეგებზე.

ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში

- **მიუხედავად იმისა, რომ ქალების პოლიტიკაში ჩართვის მიმართ ზოგადი მხარდაჭერა არსებობს, რესპონდენტების ნახევარს სჯერა, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები ხდებიან.** ათიდან, დაახლოებით, ექვსმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერდა ქალების ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 2013 წელს, რესპონდენტების 50 პროცენტი (ქალების 56 და კაცების 43 პროცენტი) დაეთანხმა აზრს, რომ ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა ქვეყანას სარგებელს მოუტანდა. 2019 წელს, ეს წილი რესპონდენტების 60 პროცენტამდე გაიზარდა (ქალების 72 და კაცების 45 პროცენტი). ამ თვალსაზრისით, შეხედულებები გენდერული ნიშნით იყოფა, თუმცა აზრი, რომ კაცები ლიდერობისთვის უფრო შესაფერისი არიან, კვლავაც პრევალენტური რჩება, რამეთუ, დაახლოებით, ყოველი მეორე რესპონდენტი ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება აზრს, რომ კაცები უკეთეს

ქალებს სურთ, მეტად ჩაერთონ პოლიტიკაში.

გამოკითხულთა 60% ფიქრობს, რომ მეტი ქალის ჩართულობა პოლიტიკაში ქვეყანას სიკეთეს მოუტანს

მათ შორის ქალების 72%

ლიდერებად ყალიბდებიან. დაახლოებით, იგივე რაოდენობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკა უფრო კაცის საქმეა, ვიდრე ქალის. როდესაც ჰკითხეს, ვის უფრო წარმოიდგენდნენ პრეზიდენტად, რესპონდენტების 56 პროცენტმა უპასუხა, რომ მათთვის კანდიდატის სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუმცა, რესპონდენტების 39 პროცენტის აზრით, კაცი უკეთესი კანდიდატი იქნებოდა. ასეთი აზრი მეტწილად კაცებმა გამოთქვეს, ანუ ყოველმა მეორე კაცმა და ყოველმა მესამე ქალმა უპირატესობა კაც კანდიდატს მიანიჭა.

სურათი 3.1 : პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც დაეთანხმნენ იდეას ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ [4]



- **ქალის პოლიტიკაში მონაწილეობის აღქმა, ახლო წარსულთან შედარებით, იცვლება.** 2013 წლის მონაცემების მიხედვით, რესპონდენტების 61 პროცენტი მიიჩნევს, რომ კაცები ქალებზე უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. ეს წილი, 2019 წელს, 49 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, ქალი რესპონდენტების შეხედულების გადაფასებამ გამოიწვია. 2013 წელს, ქალების 56 და კაცების 69 პროცენტი მიიჩნევდა, რომ კაცები ქალებზე უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. 2019 წელს, ასე ფიქრობდა ქალების 37 და კაცების 62 პროცენტი. ამდენად, ქალების შეხედულება 17 პროცენტული ქულით შეიცვალა, მაშინ, როდესაც, კაცების შემთხვევაში, ცვლილება მხოლოდ 7 პროცენტული ქულით მოხდა. ასევე, 2013 წელს, რესპონდენტების 66 პროცენტი (ქალების 56 და კაცების 77 პროცენტი) მიიჩნევდა, რომ პოლიტიკა უფრო კაცის სფეროა, ვიდრე ქალის. ეს თანაფარდობა, ექვსი წლის შემდეგ, 52 პროცენტამდე შემცირდა, სადაც 42 პროცენტი ქალი, 63 პროცენტი კი კაცია.

[4] სურათზე ნაჩვენებია პროცენტული მაჩენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც სრულიად დაეთანხმნენ ან დაეთანხმნენ კონკრეტულ დებულებას. მითითებული პროცენტული მაჩვენებელი გულისხმობს, რომ დარჩენილი რესპონდენტები არ დაეთანხმნენ ან სრულიად არ დაეთანხმნენ მოცემულ დებულებებს. მაგალითად, ქალების 37 პროცენტი დაეთანხმა შეხედულებას, რომ კაცები ქალებზე უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. აღნიშნული გულისხმობს, რომ ამ დებულებას არ ეთანხმება ქალების 63 პროცენტი.

- **პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების კვოტირების თემა, ქალებს შორის უფრო პოპულარულია, ვიდრე მამაკაცებში.** მთლიანობაში, ყოველმა მეორე რესპონდენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საპარლამენტო ცხოვრებაში ქალების მონაწილეობას, მაგრამ, მათ შორის, ქალი ათიდან ექვსია, ხოლო კაცი - ათიდან ოთხი. თვისობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოს მოქალაქე ქალებს და კაცებს არაერთგვაროვანი შეხედულებები აქვთ პოლიტიკაში გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით. ფოკუსჯგუფის წევრი ზოგიერთი კაცი მიიჩნევს, რომ კვოტირება ქალებს დაუსაბუთებელი მეთოდებით უკვალავს გზას ლიდერობისკენ.

„ევროპუღ ყაიდაზე გადასვლის გამოა, რომ ქაღ ღიდეჩებს წინა პღანზე ანაცვღებენ. გენდეჩუღი ბაღანსის უზრუნველსაყოფად გარკვეული ძაღისხმევაა გაწეული, მაგრამ ეს არაბუნებრივი პროცესია. ბუნებრივი პროცესი რომ იყოს, ამ ადგიღებზე შესაფერისი ქაღები აღმოჩნდებოდნენ“ (კაცების ფოკუსჯგუფი, ქუთაისი).

- **ქალები თავიანთ ოჯახურ ვალდებულებებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის შემაფერხებელ ძირითად ფაქტორად ასახელებენ.** ზუგდიდში მცხოვრებ ქალებთან ჩატარებულმა თვისობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ ისინი საოჯახო საქმის ტვირთს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად ჩართვის შემაბრკოლებელ ფაქტორად აღიქვამდნენ. კაცების დამოკიდებულება ქალების საოჯახო და სასოფლო სამეურნეო აუნაზღაურებელ შრომასთან დაკავშირებით, ასევე საკმაოდ უარყოფითია და მოქმედებს როგორც შემაფერხებელი ფაქტორი. პოლიტიკაში მონაწილეობა აღიქმება როგორც „ფუფუნება“, რომელზეც ხელი მხოლოდ ცოტა ქალს თუ მიუწვდება.

„ყოველა ქაღს არ შეუძღია ამის გაკეთება. მათ, შესაძღოა, ჰქონდეთ ოცნებები და სურვიღები, მაგრამ მათ ასასრულებღად ვეროფერი გააკეთონ სახღში ღიღი ღატვირთვის ან მეუღღეების გამო“ (ქაღების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

„ქაღები, რომღებიც ერთდროულად ბევრი რამის კეთებას ახერხებენ, ძღიერი პიროვნებები არიან: მათ ჰყავთ ოჯახები, ზრუნავენ შვიღებზე და სამუშაოზე, მაგრამ ასეთი ცოტაა. ასეთი ქაღები ყოველთვის ღიდერები არიან, მაგრამ ყოველას არ შეუძღია თავის გამოჩენა, ამიტომ არიან ასე ცოტა“ (ქაღების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

პოლიტიკური ჩართულობა

- **სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის დონეები ზოგადად დაბალია, მაგრამ უფრო დაბალია ქალებში, ვიდრე კაცებში.** სამიდან, დაახლოებით, საქართველოს ორი მოქალაქე აცხადებს, რომ სამშვიდობო დემონსტრაციას ან მიტინგს დასწრებია. კაცების 54 და ქალების 70 პროცენტი აცხადებს, რომ არასოდეს ყოფილა ამგვარ აქციაზე. ქალების 95 პროცენტის განცხადებით, არასდროს გამოსულა საჯაროდ, ხოლო, კაცების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 87 პროცენტს შეადგენს. კაცებისა და ქალების პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივიზმში ონლაინ მონაწილეობა, ისევე იყო შეზღუდული, როგორც ამ პროცესში ფიზიკური ჩართულობა. ათიდან, დაახლოებით, ცხრა კაცი და ქალი ამბობს, რომ არასოდეს მოუწერია ხელი პეტიციაზე ან გამოუხატავს პოლიტიკური შეხედულება სოციალურ ქსელში.

ცხრილი 3.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებსაც ოდესმე მიუღიათ მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივიზმში [5]

დებულება და ჰესპონდენტები	*ოდესმე*
დასწრებიხართ თუ არა ოდესმე სამშვიდობო დემონსტრაციას? (ყველა)	36.1
ქალი	29.1
კაცი	44.2
გქონიათ თუ არა საჯარო გამოსვლა? (ყველა)	7.2
ქალი	4.3
კაცი	10.6
დაგისვამთ თუ არა კითხვა საჯარო შეხვედრაზე? (ყველა)	12.2
ქალი	9.0
კაცი	15.9
გიმუშავიათ თუ არა ოდესმე ჰომედიმე ადგილობრივ ორგანიზაციასთან, ჰედიგიუს, სოციალუს, საგანმანათლებლო ან კულტურულ სფეროში? (ყველა)	6.7
ქალი	7.3
კაცი	6.0
მოგიწყვიათ თუ არა ოდესმე ჰაიმე შეხვედრა/შეკრება? (ყველა)	8.1
ქალი	7.5
კაცი	8.8
მოგიწერიათ თუ არა ხელი პეტიციაზე ჰაიმე სოციალუს ან პოლიტიკუს საკითხთან დაკავშირებით? (ყველა)	10.0
ოდესმე თუ გამოგიხატავთ აზრი და/ან ჩართულხართ ონლაინდისკუსიაში პოლიტიკუს, ჰედიგიუს და სოციალუს თემებზე (სოციალური მედია, Facebook, ბლოგები, ფორუმები)? (ყველა)	10.5

[5] ცხრილში პასუხები „ხანდახან“, „ხშირად“ და „ძალიან ხშირად“ გაერთიანებულია სვეტში - “ოდესმე“. ეს გულისხმობს, რომ თითოეული აქტივობის მიხედვით, გარდა მათი, ვინც არ უპასუხა კითხვას, დანარჩენებს არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა მითითებულ აქტივობაში.

- **რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქალებს კაცების თანაბრად შესწევთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უნარი, თუმცა ასე უფრო მეტი ქალი ფიქრობს, ვიდრე კაცი.** კითხვაზე, ვინ უკეთესი პოლიტიკური ლიდერია - კაცი თუ ქალი, რესპონდენტების 55 პროცენტმა თქვა, რომ მათ თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. ეს არის მნიშვნელოვანი ცვლილება 2013 წლის შემდეგ, რადგან მაშინ მხოლოდ 33 პროცენტს მიაჩნდა, რომ კაცებს და ქალებს, როგორც ბიზნესლიდერებს, თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. თუმცა, პრეზიდენტობის კანდიდატის წარმოდგენაზე პასუხების მსგავსად, 2019 წელს, რესპონდენტების 39 პროცენტმა განაცხადა, რომ კაცი უკეთეს ბიზნესლიდერად მიაჩნდა. მათ შორის 42 პროცენტი იყო კაცი, ხოლო 37 პროცენტი - ქალი. ასევე, ქალების 76 და კაცების 59 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალი კაცივით კვალიფიციურია და რომ ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება თანაბრად შეუძლიათ. კაცების, დაახლოებით, 40 პროცენტი არ ეთანხმება ამ დებულებას. თანასწორობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მიუხედავად, კვლავ რჩება განსხვავებული დამოკიდებულება ქალისა და კაცის თანასწორი შესაძლებლობების მიმღებლობის კუთხით, გარკვეული სამუშაოების შესრულებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით.

იცვლება წარმოდგენა ბიზნესში ქალის როლის შესახებ.

2019 წელს გამოკითხულთა

39%

ფიქრობს, რომ **კაცები უკეთესი ბიზნეს ლიდერები არიან, ვიდრე ქალები.**

2013 წელს ამ აზრს გამოკითხულთა **58% იზიარებდა.**

- **რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები ქალებსა და კაცებს თანაბრად ეხება.** დასაქმებისა და დაწინაურების შესაძლებლობების შესახებ კითხვაზე, რესპონდენტების 40-50 პროცენტი პასუხობს, რომ ეს შესაძლებლობები და წინააღმდეგობები ქალებს და კაცებს, დაახლოებით, თანაბრად ექმნებათ. კითხვაზე, რამდენად ადვილი იყო ქალების ან კაცებისთვის სამსახურის პოვნა საქართველოში, პასუხები თანაბრად განაწილდა: 29 პროცენტმა უპასუხა, რომ ეს პროცესი კაცებისთვის უფრო მარტივია, 27 პროცენტმა უპასუხა, რომ ქალებისთვის, ხოლო 43 პროცენტის აზრით, ამ შემთხვევაში, კაცებსა და ქალებს შორის განსხვავება არ არის. ეს თანაფარდობა თითქმის გაორმაგდა 2013 წლის შემდეგ, როდესაც 24 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ეს საკითხი თანაბრად რთულად იდგა ქალებისა და მამაკაცებისთვის.

- **თუმცა, მიიჩნევა, რომ ქალებს მეტი წინააღმდეგობა კარიერული წინსვლის გზაზე ხვდებათ.** მთლიანობაში, რესპონდენტების 37 პროცენტი ფიქრობს, რომ კარიერული წინსვლა კაცებისთვის უფრო მარტივია და რომ მათ ამისთვის მეტი შესაძლებლობები აქვთ. ასევე, ათიდან შვიდმა რესპონდენტმა მიიჩნია, რომ



კაცების **58%**

ქალების **85%**

ფიქრობს, რომ კარიერაში ქალებს **უფრო მეტი დაბრკოლების გადალახვა უწევთ,** ვიდრე კაცებს.

ქალებს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე მეტი წინააღმდეგობის გადალახვა უწევთ, რასაც ქალების 85 და კაცების 58 პროცენტი დაეთანხმა. 2013 წელს, დაახლოებით, ათიდან 6 რესპონდენტი დაეთანხმა მოცემულობას, რომ კაცებს უფრო მარტივად მიუწვდებათ ხელი პრესტიჟულ სამუშაოზე. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, გაორმაგებულია იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქალებს და მამაკაცებს კარიერული წინსვლის თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. ამჟამად მათი მაჩვენებელი 43-50 პროცენტია (იხ. სურათი 3.2), 2013 წელს კი იმავეს, დაახლოებით, 25 პროცენტი აცხადებდა.

სურათი 3.2: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კაცებს ან ქალებს უფრო მარტივი კარიერული გამოცდილება აქვთ



- **ზოგადად, ქალ და კაც ხელმძღვანელებს ერთნაირად აღიქვამენ, მაგრამ, დაახლოებით, ყოველი მეოთხე კაცი ამბობს, რომ ქალ ხელმძღვანელთან თავს არაკომფორტულად გრძნობს.** რესპონდენტების 85 პროცენტი აცხადებს, რომ თავს კომფორტულად იგრძნობდა, თუკი მისი უშუალო უფროსი ქალი იქნებოდა. ამ აზრს კაცების 74 პროცენტი ეთანხმება, ხოლო 23 პროცენტი ამბობს, რომ ქალის ხელმძღვანელობის პირობებში თავს კომფორტულად ვერ იგრძნობდა. 2013 წლის შემდეგ 14 პროცენტული ქულით გაიზარდა იმ კაცების რაოდენობა, რომლებიც ქალ ხელმძღვანელთან თავს კომფორტულად გრძნობენ,



კაცების 3/4 აცხადებს, რომ მათთვის სრულიად მისაღებია ქალი უფროსის ყოლა.

ამ აზრს 2013 წელს კაცების 3/5 იზიარებდა.

რამეთუ ამ აზრს დაეთანხმა კაცების 60 და ქალების 85 პროცენტი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების 93 პროცენტის თქმით, თავს კომფორტულად კაც ხელმძღვანელთან იგრძნობდნენ. მათ შორის 95 პროცენტი ქალია და 92 პროცენტი - კაცი. ქალ ხელმძღვანელთან დაკავშირებული დისკომფორტი ხელს უშლის ქალების კარიერულ წინსვლას და მათ მიერ წამყვანი პოზიციების დაკავებას.

- **როგორც ირკვევა, გენდერისა და მუშაობის შესახებ ტრადიციული აზროვნება კაცებში უფრო ღრმადაა ფესვგადგმული.** როგორც სურათ 3.3-ზეა წარმოდგენილი, კაცები მეტად ემხრობიან აზრს, რომ ოჯახზე ზრუნვა, უმეტესად, კაცის მოვალეობაა. კაცები ნაკლებად მიიჩნევენ, რომ დასაქმება ქალისთვის დამოუკიდებლობის შეგრძნების საუკეთესო გზაა. თუმცა საინტერესოა, რომ ქალებისა და კაცების თანაბარი პროპორცია, დაახლოებით, ოთხიდან სამი რესპონდენტი, თანხმდება, რომ დედისთვის სჯობს, სახლში, პატარა შვილებთან დარჩეს და ამ აზრის გასამყარებლად, სამსახურში თანასწორობის მიღწევისკენ სავალ გრძელ გზას უსვამენ ხაზს.

- **დასაქმებული ქალის როლის მიმართ დამოკიდებულება თაობებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება.** 2013 წელს, რესპონდენტების 72 პროცენტი (ქალების 66 და კაცების 80 პროცენტი) მიიჩნევდა, რომ ქალის პირდაპირი მოვალეობა სახლისა და ოჯახის მოვლაა და არა პროფესიული თუ კარიერული განვითარება. 2019 წელს, მათი რაოდენობა 48 პროცენტამდე შემცირდა. ამ მოცემულობას ეთანხმებოდა ან სრულიად ეთანხმებოდა ქალების 38 და კაცების 61 პროცენტი.

- **ახალგაზრდა ქალები, უმეტესად, არ იზიარებენ, რომ ქალის ძირითადი მოვალეობა ოჯახზე და არა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვაა.** 18-24 წლის ქალების 83 პროცენტზე მეტი არ ეთანხმება აზრს, რომ ქალის ძირითადი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა. ასევე ფიქრობს 18-24 წლის კაცების 52 პროცენტი. თაობებს შორის განსხვავებული დამოკიდებულებების არსებობა ნათელი ხდება, როდესაც ამ მონაცემებს 55-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის პასუხებს ვადარებთ. ამ შემთხვევაში, აღნიშნულ აზრს დაეთანხმა ქალების 39 და კაცების 64 პროცენტი (რაც ნიშნავს, რომ არ დაეთანხმა ქალების 61 და კაცების 36 პროცენტი).

სურათი 3.3: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც დაეთანხმნენ ან სრულიად დაეთანხმნენ გენდერსა და სამუშაოსთან დაკავშირებულ მოსაზრებებს



ამ ნაწილში წარმოდგენილია პარტნიორებს შორის გენდერული დინამიკის კვლევის დასკვნები. აქ იგულისხმება განსხვავებები განათლების დონეებსა და შემოსავლებს შორის. ასევე, თუ როგორ ხდება ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, როგორ ნაწილდება აუნაზღაურებელი შრომა ოჯახში და ამ განაწილებით კმაყოფილება. აქ წარმოდგენილი მონაცემები ეხება ქალებსა და კაცებს, რომლებსაც ოდესმე პარტნიორი ან მეუღლე ჰყოლიათ.

განსხვავებები განათლებასა და შემოსავლებს შორის

- **წყვილების უმრავლესობა განათლების თანაბარი დონის შესახებ აცხადებს, თუმცა ყოველი მეხუთე ქალი ამბობს, რომ პარტნიორზე უკეთესი განათლება აქვს.** სამიდან, დაახლოებით, ორი კაცი და ქალი ამბობს, რომ მათ და მათ მეუღლეს ან პარტნიორს განათლების ერთი და იგივე დონე აქვთ. დაახლოებით, ყოველი მეხუთე ქალი (18 პროცენტი) აცხადებს, რომ პარტნიორზე მაღალი დონის განათლება აქვს. იგივე აზრის მქონე კაცების რაოდენობაც თითქმის 18 პროცენტია. განათლებული ქალების შედარებით მაღალი წილი შესაბამისობაში არ არის მათ მაღალ შემოსავლებთან პარტნიორებთან შეფარდებით, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები.

სურათი 4.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ თავად ან მათ პარტნიორებს უკეთესი განათლება აქვთ



- **როგორც ჩანს, სამჯერ მეტ შემთხვევაში, კაცი წყვილის ერთადერთი მარჩენალია.** მთლიანობაში, მხოლოდ ყოველი მეხუთე ქალი და ყოველი მეოთხე კაცი ამბობს, რომ მას და პარტნიორს თანაბარი შემოსავალი აქვთ. სამჯერ მეტი კაცი ამბობს, რომ წყვილში მარტო მას აქვს შემოსავალი. ამას ამბობს კაცების 24 და ქალების 8 პროცენტი. იგივე თანაფარდობა აღინიშნება შემოსავლების შედარებისასაც. სამჯერ მეტი კაცი ამბობს, რომ პარტნიორზე მაღალი შემოსავალი აქვს, ანუ ამ მოცემულობას ეთანხმება კაცების 20 და ქალების 8 პროცენტი.

ეს ტენდენცია დასტურდება, როდესაც ყოველი მეათე კაცი და ყოველი მესამე ქალი ამბობს, რომ პარტნიორს უფრო მაღალი შემოსავალი აქვს. შემოსავლებს შორის განსხვავება, პირველ რიგში, გამოწვეულია იმით, რომ წყვილში ერთ-ერთს საერთოდ არ აქვს შემოსავალი, და არა ქალისა და კაცის განსხვავებული ანაზღაურებით. თუმცა, ქალების განათლების უფრო მაღალი დონის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გენდერული ნიშნით განსხვავებული ანაზღაურება კიდევ არსებობს. [6]

სურათი 4.2: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ თავად ან პარტნიორს უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ



გადაწყვეტილების მიღება წყვილებს შორის

- **ყოველდღიური ხარჯისა და დიდი ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების განხილვაში, პარტნიორები თანაბრად მონაწილეობენ.** ყოველი მეორე წყვილი აცხადებს, რომ საოჯახო ხარჯზე გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებენ, ხოლო სამიდან, დაახლოებით, ორი ამბობს, რომ იგივე ხდება დიდი ხარჯისა და ინვესტიციების შემთხვევაშიც. ამ აზრს ეთანხმება ქალებისა და კაცების ერთნაირი პროპორცია, რაც, წყვილების შემთხვევაში, ერთნაირად ცხადდება. როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას, პარტნიორების თანაბარი მონაწილეობა უფრო მაღალია, ვიდრე ყოველდღიური ხარჯის შემთხვევაში.

[6] A recent analysis of 2017 Labor Force Survey data conducted by UN Women confirms the prevalence of an adjusted gender pay gap in Georgia, standing at 24.8 percent.

- **ახლა უფრო მეტი წყვილი ამბობს, რომ საოჯახო ხარჯზე გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებს, ვიდრე ექვსი წლის წინ.** თუ 2019 წლის კვლევას 2013 წლის საბაზისო მონაცემებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ახლა მეტი წყვილი იღებს საოჯახო ხარჯის გადაწყვეტილებას ერთობლივად. 2013 წელს, რესპონდენტების, დაახლოებით, 41 პროცენტი ამბობდა, რომ პარტნიორთან ერთად იღებდა გადაწყვეტილებებს, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 54 პროცენტამდე გაიზარდა.

- **ირკვევა, რომ სადაც პარტნიორები თანაბრად არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იქ გავლენას ტრადიციული გენდერული როლები ახდენს.** წყვილების უმრავლესობა აცხადებს, რომ პარტნიორები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს ხარჯისა და ინვესტიციების შესახებ, თუმცა, როგორც ჩანს, ცალკეულ შემთხვევებში, ტრადიციული გენდერული როლების გავლენით, ასე არ ხდება. კაცებთან შედარებით, მეტ ქალს ეკუთვნის ბოლო სიტყვა საოჯახო ხარჯთან დაკავშირებით, თუმცა, დიდი ინვესტიციების შემთხვევაში, პირიქით ხდება (იხ. სურათი 4.3). ქალების 32 და კაცების 16 პროცენტი ამბობს, რომ ბოლო სიტყვა საოჯახო ხარჯთან დაკავშირებით მას ეკუთვნის, თუმცა, დიდ ინვესტიციებთან დაკავშირებით, იმავე პასუხს ქალების მხოლოდ 12 და კაცების 27 პროცენტი აფიქსირებს. ეს ტენდენცია პასუხებშიც აისახა, სადაც ითქვა, რომ პარტნიორი, დიდ ინვესტიციებთან დაკავშირებით, მთავარი გადაწყვეტილების მიმღებია. ამ აზრს დაეთანხმა ქალების 22 და კაცების 5 პროცენტი. კაცების 24 და ქალების 12 პროცენტის თქმით, მისი პარტნიორი, საოჯახო ხარჯის შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებს. აქაც, როგორც ჩანს, გავლენას ტრადიციული გენდერული როლები ახდენს: ქალის, როგორც ოჯახზე მზრუნველისა და კაცის, როგორ მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებისა.

სურათი 4.3: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, თუ ვის ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა ოჯახში



„საბოლოო სიტყვა ოჯახში კაცს უნდა ეკუთვნოდეს“.



- **კაცების უმრავლესობა და ქალების მნიშვნელოვანი წილი კვლავაც მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, ქალების მეგობრებთან დაკავშირებითაც, კაცებს მეტი ძალაუფლება უნდა ჰქონდეთ.** ეს სურათ 4.4-ზეა ნაჩვენები. თუმცა, თითქმის ყველა რესპონდენტი თანხმდება, რომ ქალს საკუთარი ფულის ნებართვის გარეშე განკარგვა უნდა შეეძლოს.

- **2013 წელთან შედარებით, ახლა გაცილებით ნაკლები ქალი მიიჩნევს, რომ ოჯახში საბოლოო გადაწყვეტილებას კაცი უნდა იღებდეს.** 2013 წელს ამ მოცემულობას ქალების 71 პროცენტი ეთანხმებოდა, 2019 წელს კი მხოლოდ მესამედი. კაცების წილიც მნიშვნელოვნად შემცირდა - 88-დან 68 პროცენტამდე.

სურათი 4.4: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან დებულებას გადაწყვეტილების მიღების შესახებ



აუნაზღაურებელი შრომის განაწილება

- **საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები, გენდერული ნიშნით, საკმაოდ მკაცრად არის სეგრეგირებული, რაც გულისხმობს, რომ, მაგალითად, დალაგება და საჭმლის მომზადება, თითქმის მთლიანად ქალის მოვალეობაა.** ქალები ასრულებენ საქმეებს, რომლებიც ტრადიციულად, ძირითადად, მათ მოვალეობად მიიჩნევა. ქალების, დაახლოებით, 94 პროცენტი ამბობს, რომ, ჩვეულებრივ ან ყოველთვის, სწორედ ის რეცხავს. ამასვე ადასტურებს კაცების 89 პროცენტი, ანუ ამბობს, რომ ამ საქმეს, ჩვეულებრივ ან ყოველთვის, მისი პარტნიორი აკეთებს. საპირისპიროდ, კაცების, დაახლოებით, 85 პროცენტი ამბობს, რომ, ყოველთვის ან ჩვეულებრივ, ოჯახში ტრადიციულ მამაკაცურ მოვალეობებს ასრულებს, რაც, მაგალითად, სახლში რაღაცების შეკეთებას გულისხმობს. საჭმლის მომზადებასა და სახლის დალაგებასთან დაკავშირებულ საქმეს, ძირითადად, ქალები აკეთებენ. როგორც ქალებისა და კაცების თითქმის ნახევარი ამბობს, თანაბრად განაწილებული მხოლოდ საკვები პროდუქტის შეძენაა. თუმცა აქაც, კაცებზე ხუთჯერ მეტი ქალი ამბობს, რომ ამას ყოველთვის თავად აკეთებს, ანუ ამ აზრს ეთანხმება ქალების 31 და კაცების 7 პროცენტი. ყოველი მესამე ქალისა და კაცის თქმით, გადასახადებსაც თანაბრად იხდიან. კაცების, დაახლოებით, ნახევარი ამბობს, რომ, ჩვეულებრივ ან ყოველთვის, თავად იხდის გადასახადებს, რასაც ქალების 28 პროცენტი ადასტურებს.



სურათი 4.5 პროცენტული მაჩვენებელი ქალი და კაცი რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ, ტრადიციულად, ქალის საქმეებს, ძირითადად, ასრულებენ ქალები, კაცები ან თანაბრად ინაწილებენ



- **ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა, ძირითადად, ქალს ეკისრება. სამიდან ორი ქალი ამბობს, რომ ჩვეულებრივ ან ყოველთვის, თავად ზრუნავს ბავშვზე.** ქალი რესპონდენტების, დაახლოებით, ნახევარი ამბობს, რომ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა ყოველთვის მას ეკისრება. იმ ქალი რესპონდენტების გათვალისწინებით, რომლებიც ამბობენ, რომ ბავშვზე „ჩვეულებრივ“ ზრუნავენ, ეს რაოდენობა 70 პროცენტამდე იზრდება. კაცების, დაახლოებით, 49 პროცენტი ამბობს, რომ ყოველთვის ან ჩვეულებრივ, ბავშვზე მისი პარტნიორი ზრუნავს. ქალებზე მეტი კაცი ამბობს, რომ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა თანაბრად ნაწილდება, მაგრამ ეს რაოდენობა, ჯერჯერობით, მხოლოდ ქალების 28 და კაცების 43 პროცენტს შეადგენს.

სურათი 4.6: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციას ოჯახში ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობის განაწილების შესახებ



- **ოჯახში არსებული ვალდებულებები მეტად მოქმედებს ქალების სამუშაოზე, ვიდრე კაცებისაზე.** ქალებზე ოდნავ მეტი კაცი ამბობს, რომ საოჯახო საქმე არ ახდენს გავლენას მის სამუშაოზე და პირიქით. ქალების, დაახლოებით, 33 და კაცების 41 პროცენტი ამბობს, რომ სამსახურში ბევრი საქმის გამო არასოდეს გასჭირვებია ოჯახური მოვალეობების შესრულება. დაახლოებით, იგივე თანაფარდობა (ქალების 37 და კაცების 45 პროცენტი) ამბობს, რომ ოჯახის გამო სამსახურის საქმეზე კონცენტრირება არასოდეს გასჭირვებია.

- **კაცებისა და ქალების უმრავლესობა ამბობს, რომ კმაყოფილია ვალდებულებების არსებული განაწილებით.** ისინი აღიარებენ, რომ საოჯახო საქმეები თანაბრად არ არის განაწილებული. ათიდან, დაახლოებით, სამი კაცი ამბობს, რომ მათი პარტნიორი ოჯახში გაცილებით მეტს შრომობს, ათიდან, დაახლოებით, ოთხი ქალი კი აღიარებს, რომ პარტნიორზე ბევრს აკეთებს. ქალებზე, დაახლოებით, ოთხჯერ მეტი კაცი ამბობს, რომ პარტნიორი ან მეუღლე მასზე მეტს აკეთებს, ანუ ამ აზრს კაცების 28 და ქალების 7 პროცენტი ეთანხმება. მაგრამ განსხვავების აღიარება არ ნიშნავს, რომ კაცები და ქალები არსებული ვითარებით უკმაყოფილონი არიან - სამიდან ორი კაცი და ქალი საქმის არსებული განაწილებით კმაყოფილია. დაახლოებით, მხოლოდ ქალების 16 და კაცების 12 პროცენტია უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილო საოჯახო საქმის არსებული განაწილებით და ქალების 74 და კაცების 78 პროცენტი ეთანხმება ასეთ განლაგებას. ეს ტენდენცია რესპონდენტების მიერ პარტნიორის ამ საკითხით კმაყოფილების აღქმაშიც ირეკლება.

მოვალეობათა ამგვარი გადანაწილებით კმაყოფილია:



- **კაცებზე მეტი ქალი არ ეთანხმება აზრს, რომ კაცი სახლის საქმეებში უნდა ჩაერთოს.** კითხვას, ქალები და მამაკაცები თანაბრად უნდა იყვნენ თუ არა საოჯახო საქმეში ჩართული, უარყოფითად უპასუხა ქალების 21 და კაცების 14 პროცენტმა. შედეგებით გამოვლინდა, რომ სახლი კვლავ ქალის პასუხისმგებლობის სფეროდ აღიქმება და, შესაძლოა, ქალებს აქ მეტი გავლენისა და კონტროლის შენარჩუნება ამიტომაც ურჩევნიათ.

- **ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტენდენციები, ძირითადად, იგივე დარჩა.** 2013 წლის მონაცემებით, იგივე ტენდენციები გამოვლინდა რესპონდენტებს შორის მოვალეობების განაწილებისა და ამ განაწილებით კმაყოფილების თვალსაზრისითაც. 2013 წლის მონაცემების მიხედვით, კაცების 46 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ქალი მასზე ბევრად მეტს აკეთებდა, და მხოლოდ ქალების 9 პროცენტი ამბობდა იმავეს თავის პარტნიორზე. 2019 წელს კი ათიდან ოთხი ქალი ამბობს, რომ პარტნიორზე მეტ საოჯახო საქმეს აკეთებს. რაც შეეხება კმაყოფილებას, 2013 წლის კვლევამ აჩვენა, რომ კაცების 89 და ქალების 95 პროცენტი კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია ქალებსა და კაცებს შორის საოჯახო საქმის განაწილებით.

- **კაცების დამოკიდებულება ბავშვის მოვლის მიმართ, მნიშვნელოვნად ასახავს რეალობას, მაგრამ, შესაძლოა, ასახავდეს აქცენტს მამის როლზე და ოჯახში არსებული როლების გარკვეულ მოქნილობასაც.** როგორც ნაჩვენებია სურათზე 4.7, კაცების ორ მესამედზე მეტი (მაგრამ მხოლოდ ოდნავ მეტი, ვიდრე ქალების ნახევარი) თანხმდება, რომ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული ყოველდღიური საქმიანობა დედის პასუხისმგებლობაა. ოთხიდან სამი კაცი და ქალი მიიჩნევს, რომ ქალი და კაცი თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული საოჯახო საქმეში. ამასთან, ქალებზე მეტი კაცია მზად, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის მომვლელის ალტერნატიული როლის შესასრულებლად. დაახლოებით იგივე რაოდენობა აღნიშნავს, რომ მამობა ყველაზე მნიშვნელოვანი როლია კაცის ცხოვრებაში.

- **2013 წლიდან, კაცებისა და ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ბავშვის მოვლა მხოლოდ ქალის პასუხისმგებლობაა,** მნიშვნელოვნად შემცირდა - 81 პროცენტიდან 69 პროცენტამდე კაცებისა და, 76 პროცენტიდან 54 პროცენტამდე, ქალების შემთხვევაში.

სურათი 4.7: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან ბავშვის მოვლის როლებთან დაკავშირებულ მოსაზრებებს



- **თვისობრივი კვლევა მიუთითებს გენდერული როლების ცვლილებაზე, ეკონომიკური მახასიათებლების ცვლილებასთან ერთად.** ზუგდიდში გამართული კაცებისა და ქალების ფოკუსჯგუფების დისკუსიების შედეგად გამოვლინდა, რომ დისკუსიაში საბოლოო სიტყვა კაცმა უნდა თქვას. თუმცა, მარჩენლის როლი, როგორც ჩანს, ექსკლუზიურად მას აღარ ეკუთვნის, რადგან, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის შესუსტების გამო, მეტ ქალს მოუხდა ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა. კაცებისა და ქალების ჯგუფებმა ცალ-ცალკე გამოხატეს, თუ როგორ აღარ ანაწილებენ პასუხისმგებლობებს ახალგაზრდა წყვილები ტრადიციული გენდერული როლების ზეგავლენით.

„ოდესაც ქალი დამოუკიდებელია, მუშაობს და ოჯახის მაჩენალია, ის ბუნებრივად იღებს ღიდეის ოოს“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

„ღღესდღეობით, ახალგაზრდა წყვილები თანაბრად ინაწილებენ საქმეს და ყველაფერს ერთად აკეთებენ. ახლა კაცები ისეთ ოამეებსაც აკეთებენ, ოაც ადრე მათთვის სამარცხვინო იყო“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

წყვილებს შორის კომუნიკაცია

- **კაცებზე ორჯერ მეტმა ქალმა განაცხადა, რომ არასოდეს განუხილავს ყოველდღიური პრობლემები პარტნიორთან.** როდესაც გახსნილობისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით, ურთიერთობების ხარისხის შესახებ ჰკითხეს, დაახლოებით, ყოველმა მეორე კაცმა და ქალმა განაცხადა, რომ გასულ კვირას პარტნიორთან ერთად ყოველდღიური პრობლემები განიხილა. მათ შორის, ოდნავ ნაკლები (42 პროცენტი) იყო ქალი, ვიდრე კაცი (48 პროცენტი). ქალების 31 პროცენტმა განაცხადა, რომ არასოდეს ან ძალიან დიდი ხნის წინ თუ განუხილავს პრობლემები პარტნიორთან ერთად. კაცების შემთხვევაში, ამ მაჩვენებელმა 15 პროცენტი შეადგინა. ეს უთანასწორობა, შესაძლოა, ასახავდეს კაცებისა და ქალების განსხვავებულ დამოკიდებულებასა და შესაძლებლობებს უპასუხონ პარტნიორების განსხვავებულ საჭიროებებს - ქალები მეტად მოელოდნენ პარტნიორისგან ღია კომუნიკაციას, ვიდრე კაცები.

ამ ნაწილში საუბარია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის (IPV) შესახებ გამოკითხვის შედეგებზე, რომელიც ეკონომიკურ, ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას[7] აერთიანებს. ქალებს ჰკითხეს, განეცადათ თუ არა ძალადობის სხვადასხვა ფორმა, ხოლო კაცები მათი მხრიდან ამგვარი დარღვევების შესახებ გამოჰკითხეს.[8] აქ ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია ბავშვების შესახებ, რომლებიც აღმზრდელების მხრიდან ერთმანეთზე ძალადობას შეესწრნენ; განხილულია საქართველოში ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობასთან დაკავშირებით არსებული ნორმები და აღქმები; ასევე, რა იციან ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას გადარჩენილმა ადამიანებმა, მათთვის არსებული რესურსების შესახებ. აქვეა წარმოდგენილი თვისობრივი კვლევის დასკვნები პარტნიორის მხრიდან ძალადობის მიზეზების შესახებ.

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავრცელება

- **ინტიმური პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობა, საშუალოდ, ყოველ მეხუთე ქალს განუცდია, ხოლო, დაახლოებით, ყოველი მესამე კაცი აცხადებს, რომ ამგვარი ქმედება ჩაუდენია.** პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის შესახებ კითხვაზე პასუხად, ქალების 18 პროცენტმა განაცხადა, რომ განუცდიათ ეკონომიკური ძალადობის ერთი ან მეტი ფორმა. მათ შორის, პარტნიორს წაურთმევია საკუთარი შემოსავალი, აუკრძალავს მუშაობა ან გაუგდია სახლიდან. კაცი რესპონდენტების 27 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მიუმართავთ ძალადობის ერთი ან რამდენიმე ფორმისთვის. განსხვავება ქალებისა და კაცების პასუხებს შორის, სავარაუდოდ, ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებული სტიგმითაა გამოწვეული.

- **ინტიმური პარტნიორის მხრიდან ემოციური ძალადობა ყოველ მეხუთე ქალს განუცდია.** როდესაც კაცებს ჰკითხეს, მიუმართავთ თუ არა ემოციური ძალადობის სხვადასხვა ფორმისთვის, მაგალითად, პარტნიორი სხვების თანდასწრებით დაუმცირებიათ, დამუქრებიან მისი ახლობლისთვის ზიანის მიყენებით, უარი უთქვამთ ერთ ოთახში დაძინებაზე, კაცების 24 პროცენტმა უპასუხა, რომ ამგვარი ქმედება ცხოვრებაში, სულ მცირე, ერთხელ მაინც ჩაუდენია. ეს დაადასტურა ქალების მიერ გაცემულმა პასუხებმაც - მათი 21 პროცენტის თქმით, ამგვარი ძალადობა ცხოვრებაში ერთხელ ან მეტჯერ განუცდია.

- **რესპონდენტების 96 პროცენტის თქმით, პარტნიორისგან არასოდეს განუცდიათ ან ჩაუდენიათ ფიზიკური ძალადობის რაიმე ფორმა.** კითხვაზე, ჩაუდენიათ თუ არა ინტიმური პარტნიორის მიმართ რაიმე ფორმით ძალადობა, მაგალითად, სილის გაწვნა, მუშტის დარტყმა, მოხრჩობა ან დამწვრობის მიყენება, პასუხად კაცების 4 პროცენტმა განაცხადა, რომ ეს ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაუკეთებია. ქალების, დაახლოებით, იგივე თანაფარდობა ადასტურებს, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ძალადობის რაიმე ფორმა ინტიმური პარტნიორის მხრიდან. აღნიშნულთან დაკავშირებულ კითხვებზე, კაცი პარტნიორის მიერ იარაღით ან ბავშვებისთვის ზიანის მიყენების მუქარის შესახებ, ქალებისა და კაცების

[7] ეკონომიკური, ემოციური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემცველი კონკრეტული ქმედებების შესახებ კითხვები, ანალიზისთვის კონკრეტულ შედგენილ ცვლადებში გაერთიანდა. განცხადება აღნიშნული ქმედების განცდის ან ჩადენის შესახებ, მიიჩნევა ძალადობის ამ ფორმის ცხოვრებაში განცდად ან ჩადენად. მაგალითად, თუ ქალი პარტნიორის მიერ შემოსავლის ჩამორთმევის შესახებ დებულებაზე პასუხობს „ერთხელ", მისი პასუხი აღიქმება როგორც „1" პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის შედგენილ ცვლადში, და რესპონდენტი ამ გამოცდილების მქონე ქალების 21 პროცენტში შევა.

[8] კვლევა, ასევე, მოიცავს კითხვას ქალების მხრიდან მამაკაც პარტნიორზე ფიზიკური ძალადობის შესახებ. ამგვარი გამოცდილების შესახებ მხოლოდ ერთ პროცენტზე ნაკლებმა მამაკაცმა განაცხადა და ამავე რაოდენობის ქალებმა თქვეს, რომ ეს ჩაუდენიათ.

უმრავლესობამ უპასუხა, რომ ამგვარი ძალადობა არასოდეს განუცდიათ ან ჩაუდენიათ - ამ მოცემულობას დაეთანხმა კაცებისა და ქალების 97 პროცენტი.

- **ქალების 5 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია სექსუალური ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან.** როდესაც ქალებს ჰკითხეს სექსუალური ძალადობის გამოცდილების შესახებ, პარტნიორის ან იმის მხრიდან, ვინც იმხანად მათი პარტნიორი არ იყო, 5 პროცენტმა უპასუხა, რომ ასეთი რამ მომხდარა. როდესაც მამაკაცებს ჰკითხეს, ჩაუდენიათ თუ არა ძალადობა ინტიმური პარტნიორის ან იმ ქალის მიმართ, რომელიც იმ დროისთვის მათი პარტნიორი არ იყო, კაცების 3 პროცენტმა უპასუხა, რომ ასეთი რამ გაუკეთებია. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია 2013 წლის მონაცემთან შედარებით, როდესაც კაცების 19 პროცენტმა განაცხადა, რომ პარტნიორთან სექსი მისი თანხმობის გარეშე ჰქონია, ხოლო ქალი რესპონდენტების 6 პროცენტის თქმით, ასეთი რამ განუცდია.

ბავშვი ხდება ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მოწმე

- **შემთხვევების 5 პროცენტის შემთხვევაში, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის ინცინდენტს ბავშვიც შესწრებია.** იმ რესპონდენტების 5 პროცენტის თქმით, რომლებმაც მანამდე განაცხადეს, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა განუცდიათ, ინცინდენტს ბავშვიც შეესწრო. წყაროების თანახმად, ძალადობა ხშირად თაობებზე გადადის. კაცები, რომლებიც ბავშვობაში პარტნიორებს შორის ძალადობის მოწმენი ხდებიან, ხშირად, ზრდასრულ ასაკში, თავიანთი პარტნიორების მიმართაც იმავეს სჩადიან, ხოლო ქალები ძალადობის მსხვერპლი ხდებიან.[9]

ძალადობასთან დაკავშირებული აღქმები და ნორმები

- **როგორც ირკვევა, ინტიმური პარტნიორის მიმართ ძალადობა კაცებისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ქალებისთვის.** როგორც ნაჩვენებია სურათზე 5.1, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა, სულ უფრო, ნაკლებად მისაღები ხდება, თუმცა, დაახლოებით, ყოველი მეოთხე ქალი და ყოველი მესამე კაცი მიიჩნევს, რომ ქალი ქმარს სექსზე უარს ვერ ეტყვის. უფრო დიდი წილი, მათ შორის, ნახევარზე მეტი კაცი ფიქრობს, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საქმეა. აღნიშნული შედეგი აისახა ინტიმურ ურთიერთობებში კონტროლის მიმართ დამოკიდებულებაშიც. კაცების 60 და ქალების 30 პროცენტი ეთანხმება აზრს, რომ კარგი ქალი ქმრის გადაწყვეტილებას არასოდეს აქცევს მსჯელობის საგნად, თუნდაც არ ეთანხმებოდეს.

[9] Fleming et al. 2015; Hindin, Kishor, & Ansara, 2008; Fulu et al., 2017

სურათი 5.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან აზრს ძალადობის შესახებ



- **როგორც ირკვევა, 2013 წლის შემდეგ, ძალადობის მიმართ დამოკიდებულება მცირედით შეიცვალა.** მართალია, კითხვები იდენტური ფორმით არ იყო დასმული, 2013 წლის კვლევის მონაცემებით, რესპონდენტების 80 პროცენტმა გამორიცხა ისეთი ვითარების არსებობა, როდესაც ქალი ცემას შეიძლება იმსახურებდეს. მას შემდეგ, თანაფარდობა, დაახლოებით, იგივე დარჩა, ისევე, როგორც წილი იმ რესპონდენტებისა, რომლებიც ამბობენ, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად ქალმა ძალადობა უნდა აიტანოს (კაცების 14 და ქალების 10 პროცენტი). იმავე კვლევის მონაცემებით, კაცი რესპონდენტების 14 პროცენტი და ქალების 10 პროცენტი თანხმდება, რომ ქალმა ოჯახის შენარჩუნების მიზნით, ძალადობა უნდა აიტანოს.

- **ყოველი მეხუთე რესპონდენტი ამბობს, რომ იცნობს ადამიანს, რომელსაც ინტიმური პარტნიორის მიმართ ძალადობა ჩაუდენია.** როდესაც ჰკითხეს, იცნობდნენ თუ არა ინტიმური პარტნიორის მიმართ მოძალადეს, ქალების 27 პროცენტმა განაცხადა, რომ, მინიმუმ, ერთ ასეთ ადამიანს იცნობდნენ. იგივე თქვა კაცების 21 პროცენტმა. ყოველ მეოთხე ქალზე მეტი იცნობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს, იგივე ინფორმაციის მქონე კაცების რაოდენობა შედარებით მცირეა - ქალების 28 და კაცების 18 პროცენტი. ზოგადად, ძალადობის გავრცელების მაჩვენებელი დაბალია, თუმცა მოძალადესა და მსხვერპლთან ნაცნობობის მაღალი მაჩვენებელი გვაფიქრებინებს, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილი არ არის.

- **დაახლოებით, სამიდან ორი ქალი, ქალების მიმართ ძალადობას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს.** ამას ეთანხმება ყოველი მეორე კაცი. ქალთა მიმართ ძალადობას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს ქალი რესპონდენტების 65 პროცენტი, მაგრამ ამ აზრზე კაცი რესპონდენტების 47 პროცენტია. საპირისპიროდ, კაცების, დაახლოებით, 43 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალების მიმართ ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. ამ აზრს ქალების მხოლოდ 25 პროცენტი იზიარებს. შეხედულება ქალების მიმართ ძალადობის ფართოდ გავრცელების შესახებ, შესაძლოა, რეალური ვითარების არასათანადოდ შეფასებით ან ქალების მიმართ ძალადობის სახლის გარეთ, საჯარო სივრცეში ჩადენით იყოს გამოწვეული.

- **მეტი ქალი და კაცია ინფორმირებული ოჯახში ძალადობას გადარჩენილი ადამიანების (მსხვერპლთა) დახმარების რესურსის შესახებ.** დაახლოებით, ოთხიდან სამმა ქალმა იცის, რომ საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის არსებობს ცხელი ხაზი. ამის შესახებ იცის სამიდან ორმა კაცმაც. დაახლოებით, ყოველმა მეორე ქალმა იცის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ, კაცების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი სამიდან ერთია. ქალების 91 პროცენტი ნორმალურად მიიჩნევს, თუ დაზიანებების მქონე ქალს ექიმი ჰკითხავს, ხომ არ არის ეს ძალადობის შედეგი. ამ კითხვას ნორმად მიიჩნევს კაცების 71 პროცენტი.

სურათი 5.2: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული სხვადასხვა რესურსცენტრების შესახებ



ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამომწვევი ფაქტორების შესახებ შეხედულებები

- **თვისობრივი კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა, ძირითადად, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგია.** ჯგუფური დისკუსიის მონაწილე ქალებმა და კაცებმა განაცხადეს, რომ ოჯახში ძალადობა სრულიად მიუღებელია. ძალადობის პოტენციურ მიზეზებთან დაკავშირებით მიიჩნევენ, რომ ინტიმური პარტნიორის მიმართ ძალადობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხშირად განაპირობებს სიღარიბე, ეკონომიკური სირთულეები, სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება, ადრეული ქორწინება და უარყოფითი გენდერული ნორმები.

„სრულიად ვეწინააღმდეგები ძალადობის ნებისმიერ ფორმას, ძალადობა ძალადობაა“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).

„ყველა პრობლემას აზარტული თამაშები და ალკოჰოლი იწვევს, განსაკუთრებით, ხეგიონებში, სადაც ოჯახების უმეტესობა გაჭირვებულია“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ოზურგეთი).

„მოძალადე კაცი ფიქრობს, რომ სიღის გაწვნა ან უდიერად მიმართვა, ნორმაა, რადგან სწორედ ეს ისწავლეს მამებისა და ბიძებისგან“ (ქალების ფოკუსჯგუფი, თბილისი).

„ჯოთა განმავლობაში, წყვილებისთვის ღირებულებები იცვლება. როდესაც ქორწინდებიან 18 წლის ასაკში, ეთნაური ინტერესები აქვთ, მაგრამ მერე იზრდებიან, სწავლობენ, სხვადასხვანაირად ფიქრობენ, ერთმანეთის აღარ ესმით და კამათს იწყებენ“ (*კაცების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი*).

უჯრა 5.1: მითები გაუპატიურების შესახებ

რესპონდენტებს დაუსვეს კითხვები, რომლებიც, გაუპატიურების შესახებ, გავრცელებულ მცდარ წარმოდგენებს ან მითებს შეიცავდნენ. აქაც, ქალებთან შედარებით, ძალადობა კაცებისთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა. დაახლოებით, ყოველი მესამე კაცი მიიჩნევს, რომ, ზოგჯერ, ქალებს თავად უნდათ, გააუპატიურონ, და რომ, გაუპატიურების შემთხვევაში, ქალის რეპუტაციის გამოკვლევაც აუცილებელია.

მნიშვნელოვანია, რომ კაცების ნახევარი და ქალების 30 პროცენტი მიიჩნევს, რომ გაუპატიურებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას სწევს, შესაბამისად, სექსუალური ძალადობის ფარგლებში არ მოიაზრებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა შიში და სხვა სახის იძულება.

სურათი 5.3: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც ეთანხმებიან ან სრულიად ეთანხმებიან მითებს გაუპატიურების შესახებ



2013 წლის მონაცემებთან შედარება ცხადყოფს, რომ გაუპატიურების შესახებ მითებთან დაკავშირებით, საქართველოში ვითარება მცირედ შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის კვლევაში მონაწილე რესპონდენტების უმრავლესობა არ დაეთანხმა გაუპატიურებასთან დაკავშირებულ დებულებებს, გასული 5 წლის განმავლობაში, ამ პოზიციაზე მყოფი რესპონდენტების წილი გაიზარდა. აღნიშნული მიანიშნებს, რომ გაუპატიურებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერება, ისევე, როგორც გაუპატიურების შემთხვევების იდენტიფიცირება, გაზრდილია და, შედეგად, ამ ნაწილში წარმოდგენილი დებულებები უფრო სტერეოტიპულად და რეალობისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევა.

თავი 6: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და დედათა ჯანმრთელობა

ამ ნაწილში საუბარია სექსისა და კონტრაცეფციის მიმართ დამოკიდებულების, პარტნიორის ორსულობისას ექიმთან კონსულტაციაზე მამაკაცის დასწრების, ასევე, ორსულობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში მამაკაცის მონაწილეობისა და მის მიერ აბორტის პროცედურის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ გამოკითხვის შედეგებზე.

სექსის მიმართ დამოკიდებულებები და კონტრაცეფცია

- **ქალებისა და კაცების უმრავლესობა იზიარებს, რომ კონტრაცეფციის ტიპზე გადაწყვეტილება წყვილმა ერთობლივად უნდა მიიღოს.** თუმცა, მნიშვნელოვან რაოდენობას ანუ ქალების მეოთხედზე და კაცების მესამედზე მეტს მიაჩნია, რომ ფეხმძიმობის თავიდან არიდება მხოლოდ ქალის მოვალეობაა. იგივე რაოდენობის ქალებმა და კაცებმა განაცხადეს, რომ მიუღებელია, თუკი ცოლი ქმარს პრეზერვატივის გამოყენებას მოსთხოვს. კაცების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალს, რომელსაც პრეზერვატივი ექნებოდა, უწესო და „ადვილად ხელმისაწვდომ" ქალად შეაფასებდა. კონტრაცეფციასთან დაკავშრებით წყვილების საერთო გადაწყვეტილების მომხრე ქალების რაოდენობა 2013 წლიდან იგივე დარჩა, კაცების რაოდენობამ კი შედარებით იკლო. 2013 წელს ეს მაჩვენებელი 74 პროცენტი იყო, 2019 წელს კი 69 პროცენტამდე შემცირდა.

- **როგორც ირკვევა, კაცების ჰიპერსექსუალობის შესახებ არსებულ შეხედულებას კაცები უფრო ემხრობიან.** ქალებზე, დაახლოებით, ოთხჯერ მეტი კაცი იზიარებს, რომ კაცს სექსუალური კონტაქტი სხვა ქალთანაც სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლესთან, ამ მხრივ, კარგი ურთიერთობა აქვს. ასევე, ორჯერ მეტი ქალი აცხადებს, რომ კაცები სექსისთვის ყოველთვის მზად არიან. როდესაც ჰკითხეს, რას ფიქრობდნენ შეხედულებაზე, რომ კაცი უფრო მეტად არის მზად სექსისთვის, ვიდრე ქალი, კაცების 65 და ქალების 35 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა.

სურათი 6.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც დაეთანხმნენ ან სრულიად დაეთანხმნენ დებულებებს სექსისა და კონტრაცეფციის შესახებ



შვილის დაბადებას დაესწრო კაცების:





მამების მონაწილეობა ბავშვის დაბადებამდე და შემდგომ პროცესებში

- **ადრინდელთან შედარებით, შვილის დაბადებას მეტი მამა ესწრება.** გამოკითხვაში მონაწილე სამი რესპონდენტიდან ორი მამა იყო, თითოეულს, საშუალოდ, ორი შვილი ჰყავდა. გაირკვა, რომ შვილის დაბადებას მამების მხოლოდ 7 პროცენტი დაესწრო და რომ, 2013 წლიდან, ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გვაქვს. მაშინდელი მონაცემებით, შვილის გაჩენას კაცების მხოლოდ 4.5 პროცენტი ესწრებოდა. ხუთიდან მხოლოდ ერთმა მამამ აიღო შვებულება, ან დასვენების დღე სამსახურში, რათა უმცროსი შვილის დაბადებას დასწრებოდა.

- **შვილის დაბადებაზე მამების დასწრების დაბალი მაჩვენებელი თანხვედრაშია მშობლების ზოგად დამოკიდებულებასთან ბავშვის დაბადების პროცესზე მამის დასწრებასთან დაკავშირებით.** დედების 48 პროცენტი აცხადებს, რომ მშობიარობაზე დასწრება კაცებისთვის სავსებით მისაღები უნდა იყოს. ამ აზრს მამების 45 პროცენტიც დაეთანხმა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 10 გამოკითხულიდან ოთხზე მეტი დედა და მამა აცხადებს, რომ მამების მშობიარობაზე დასწრება, ჩვეულებრივ, მისაღები არ არის.

- **მამების მხოლოდ ნახევარი ახლდა პარტნიორს კონსულტაციაზე.** ექიმთან რამდენიმე ვიზიტზე, მომავალი შვილის დედას, ყოველი ორი მამიდან ერთი ახლდა, მათგან ნახევარი პარტნიორს მოსაცდელ ოთახში ელოდებოდა, ხოლო მეოთხედმა კლინიკის შესასვლელთან დატოვა. ოთხი მამიდან ერთმა განაცხადა, რომ ექიმს თავადაც შეხვდა. ირკვევა, რომ მომავალი მამები საკუთარ როლს წინასამშობიარო პრო-

ორსულობის პერიოდში მეუღლეს ექიმთან ვიზიტზე გაჰყოლია კაცების:



ცესში მინიმალურად ან საერთოდ ვერ ხედავენ და მხოლოდ პარტნიორის კლინიკაში მიყვანით შემოიფარგლებიან.

კაცების მონაწილეობა ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

- **კაცების უმეტესობა ამბობს, რომ ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ და რომ პროცედურის ფინანსური მხარე საკუთარ თავზე აიღეს.** კაცების იმ 12 პროცენტიდან, ვინც განაცხადა, რომ მათ პარტნიორებს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის გამოცდილება ჰქონდათ (135 კაცი რესპონდენტიდან, დაახლოებით, ოთხიდან სამმა), აღნიშნეს, რომ ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ და პროცედურის ფინანსური მხარდაჭერაც მათ უზრუნველყვეს. აბორტის გასაკეთებლად კლინიკაში მისულ პარტნიორს, დაახლოებით, 10 კაციდან ოთხი ახლდა. 2013 წელს, ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში კაცები მხოლოდ შემთხვევების 37 პროცენტში მონაწილეობდნენ.

- **კაცების აბორტთან დაკავშირებულ საკითხებში მონაწილეობის შესახებ ქალების განცხადებები, კაცების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ემთხვევა.** ქალების 38 პროცენტი აცხადებს, რომ აქვთ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის გამოცდილება. მათი 63 პროცენტი ამბობს, რომ ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება პარტნიორებთან ერთად მიიღეს. იგივე განაცხადა კაცების 71 პროცენტმაც. ქალების 82 პროცენტმა აღნიშნა, რომ კლინიკაში აბორტის გასაკეთებლად მისულს პარტნიორიც ახლდა, რაც მხოლოდ კაცების 40 პროცენტმა დაადასტურა.

- **ათი რესპონდენტიდან, დაახლოებით, ექვსმა განაცხადა, რომ ორსულობის შეწყვეტა, პარტნიორთან ერთად გადაწყვიტა.** მთლიანობაში, გამოკითხულთა 60 პროცენტმა განაცხადა, რომ მას ან მის პარტნიორს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის გამოცდილება ჰქონდა და რომ ეს ერთობლივი გადაწყვეტილებით მოხდა. ქალებისა და კაცების პასუხების გაერთიანებით გამოვლინდა, რომ ორსულობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ქალების 31 და კაცების 5 პროცენტმა.

სურათი 6.2: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებმაც განაცხადეს, რომ გადაწყვეტილება ბოლო აბორტთან დაკავშირებით მხოლოდ ქალის ან მხოლოდ მამაკაცის მიერ იქნა მიღებული

ვინ მიიღო გადაწყვეტილება ბოლო აბორტის შესახებ?



ამ ნაწილში, მოცემულია დასკვნები რესპონდენტთა ზოგადი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ. მათ შორისაა კითხვები სამედიცინო მომსახურებისა და ექიმთან ვიზიტის, სხვადასხვა ნივთიერებების მოხმარებისა და დეპრესიის სკრინინგის შესახებ.

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ზოგადი მდგომარეობა

- **დაახლოებით, ყოველი მეორე ქალი ან კაცი მიიჩნევს, რომ მისი ჯანმრთელობა კარგი ან ძალიან კარგია.** როცა მათ საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება ვთხოვეთ, გამოკითხულთა უმეტესობამ შეაფასა, როგორც კარგი ან ძალიან კარგი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამის თქმა ქალებზე მეტად კაცებზე უფრო შეგვიძლია, რადგან კაცების მაჩვენებელი 54 პროცენტია ქალების - 45.

- **ხუთიდან, დაახლოებით, ერთი კაცი ამბობს, რომ არასოდეს ყოფილა ექიმთან, ან რომ ბოლო ვიზიტი 5 წლის წინ ჰქონდა.** როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ როდის იყვნენ ბოლოს ექიმთან ან უკანასკნელად როდის მიიღეს სამედიცინო დახმარება, 31 პროცენტმა თქვა, რომ ეს 12 თვით ადრე მოხდა. ასევე, ხუთი რესპონდენტიდან ერთმა განაცხადა, რომ ექიმთან ვიზიტზე გასული 2-5 წლის ინტერვალში იმყოფებოდა. ამ ჯგუფში კაცების რაოდენობა მეტია ვიდრე ქალების (კაცები 23, ქალები 19 პროცენტი). რესპონდენტთა 17 პროცენტი, რომელიც არც ბოლო 5 წლის განმავლობაში ან არასოდეს ყოფილა კლინიკაში, მეტწილად კაცებითაა წარმოდგენილი. ამ ჯგუფში 22 პროცენტი კაცია და 13 პროცენტი ქალი. კაცების ექიმთან ვიზიტის ასეთი დაბალი მაჩვენებლის მიზეზი, შესაძლოა, იყოს ასაკი, განათლებისა და დასაქმების სტატუსი, ან ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან დაკავშირებული ქცევის გენდერული ნორმები.

სხვადასხვა ნივთიერების მოხმარება და შედეგები

- **ხუთიდან ოთხზე მეტმა გამოკითხულმა ქალმა განაცხადა, რომ, გასული წლის განმავლობაში, ალკოჰოლი არ მიუღია.** იგივე ხუთიდან მხოლოდ ერთმა კაცმა აღნიშნა. ალკოჰოლურ თრობად ერთ ჯერზე 5 ჭიქა სასმლის მიღება მიიჩნევა. როდესაც რესპონდენტებს გასული წლის განმავლობაში ალკოჰოლური თრობის შესახებ ვკითხეთ, 52 პროცენტმა განაცხადა, რომ ეს არ გაუკეთებია. ამ ჯგუფში, სადაც უმრავლესობა ქალი იყო, ქალების 81 პროცენტმა თქვა, რომ ალკოჰოლი ჭარბად არ მოუხმარია, როდესაც იგივე მამაკაცების მხოლოდ 18 პროცენტმა დაადასტურა. რესპონდენტთა თითქმის 24 პროცენტის თქმით, გასული წლის განმავლობაში, მსგავსი ეპიზოდი მათ ცხოვრებაში თვეში, დაახლოებით, ერთხელ ან სამჯერ, ან უფრო იშვიათად ყოფილა, ვიდრე თვეში ერთხელ. მათ შორის, ვინც ბოლო 12 თვის განმავლობაში 5 ჭიქაზე მეტი სასმელი მიიღო, 94-მა პროცენტმა განაცხადა, რომ დალევის შედეგად არავითარი ტრამვა ან გართულება არ ჰქონია.

- **თითქმის ყველა ქალმა და კაცმა განაცხადა, რომ, გასული წლის განმავლობაში, არავითარი ნარკოტიკი არ მიუღია.** ქალი რესპონდენტების 99 პროცენტმა განაცხადა, რომ გასული წლის განმავლობაში არ მიუღია არცერთი ნარკოტიკული ნივთიერება, იგივე დაადასტურა კაცების 87 პროცენტმა.

ფსიქიკური ჯანმრთელობა, სოციალური მხარდაჭერა და ცხოვრებით კმაყოფილება

- **რესპონდენტების თქმით, როდესაც სევდა ან სასოწარკვეთა ეუფლებათ, დახმარებისთვის თითქმის თანაბრად მიმართავენ პარტნიორებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს.** როდესაც ვკითხეთ, ვის მიმართავენ სასოწარკვეთისა და სევდიანობისას, ოთხიდან ერთმა გვიპასუხა, რომ, ასეთ დროს, პარტნიორებს, ხოლო ხუთიდან ერთმა თქვა, რომ მეგობრებს ან ოჯახის წევრებს

მიმართავენ. აქვე, ოთხიდან, დაახლოებით, ერთმა განაცხადა, რომ დახმარება არასოდეს არავისთვის უთხოვია. დაახლოებით, სამმა პროცენტმა აღნიშნა, რომ, ასეთ დროს, სულიერ მოძღვარს მიმართავს. საინტერესოა, რომ კაცებზე მეტ ქალს დახმარებისთვის არავისთვის მიუმართავს, რასაც ქალების 25 და კაცების 19 პროცენტი აცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ პასუხებს შორის არსებითი განსხვავება არ არის, საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები კაცებზე ზეწოლას მაინც ახდენს, ამიტომ მათ ქალებზე მეტად უჭირთ დახმარების თხოვნა, რადგან მუდმივად უწევთ დამტკიცება, რომ დამოუკიდებლები არიან და პრობლემის მოგვარებას თავადაც შეძლებენ[10]. კაცები დახმარებისთვის, უმეტესად, მეგობრებს, ხოლო ქალები ოჯახის წევრებს მიმართავენ.

სურათი 7.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, თუ ვის მიმართავენ დახმარებისთვის, როდესაც სასოწარკვეთა ან სევდა ეუფლებათ



[10] მეტი ინფორმაცია Man Box-ისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ პუბლიკაციაში Heilman, Barker, and Harrison, 2017 study.

- **გასული წლის განმავლობაში, დეპრესიისთვის დამახასიათებელი სიმპტომების არსებობის შესახებ, დაახლოებით, სამიდან ერთმა რესპონდენტმა განაცხადა.** დეპრესიის ნიშნების შესახებ რესპონდენტებს ჰკითხეს, გასული ორი კვირის განმავლობაში, ხომ არ ჰქონიათ უხალისობის შეგრძნება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესიული ან სუიციდური ფიქრები. სამიდან ორმა რესპონდენტმა დეპრესიის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა დაადასტურა, 33 პროცენტმა განაცხადა, რომ უხალისობის შეგრძნება გარკვეულ დღეებში, ან საკმაოდ ხშირად ჰქონია, ხოლო 27 პროცენტმა განაცხადა, რომ თავს უენერგიოდ ან დეპრესიულად გრძნობდა. კაცებზე მეტმა ქალებმა, კერძოდ, ქალების 25 პროცენტმა და კაცების 22 პროცენტმა განაცხადა, რომ, გარკვეულ დღეებში, თავს უიმედოდ და დეპრესიულად გრძნობდა. ამასთან, მეტმა ქალმა, ანუ 32 პროცენტმა თქვა, რომ, გარკვეულ დღეებში, ან გასული ორი კვირის განმავლობაში, რაიმეს კეთებისა და სიამოვნების მიღებისადმი დაბალი ინტერესი ჰქონია. იგივე განაცხადა კაცების 26 პროცენტმა. როგორც ჩანს, დეპრესიის მიმართ ქალები უფრო მოწყვლადები არიან, ვიდრე კაცები.

სურათი 7.2: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებმაც განაცხადეს დეპრესიის სიმპტომების არსებობის შესახებ, გასული ორი კვირის განმავლობაში



თავი 8: ბავშვობის გამოცდილება

ამ თავში წარმოდგენილია რესპონდენტთა ბავშვობისდროინდელი გამოცდილების შესახებ გამოკითხვის შედეგები. საუბარია აღმზრდელთა შორის შრომის განაწილებასა და მკაცრი აღზრდის შედეგად მიღებულ გამოცდილებაზე.

მშობლების განათლება და სამსახური

- **რესპონდენტების გადმოცემით, მათი მშობლების განათლების ყველაზე მაღალი დონე განისაზღვრებოდა, როგორც საშუალო, უმაღლესი და პროფესიული.** დედებისა და მამების განათლების დონე მნიშვნელოვნად არცერთ კატეგორიაში არ განსხვავდება. ოდნავ მეტ ქალს, სულ 14 პროცენტს, აქვს არასრული საშუალო განათლება მითითებული, როგორც უმაღლესი დონე. იგივე კატეგორიაში კაცების მაჩვენებელი 11 პროცენტია. ასევე, უმნიშვნელო განსხვავებით, მეტ კაცს ანუ 21 პროცენტს აქვს მიღებული პროფესიული განათლება, ქალების 19 პროცენტთან შედარებით.

სურათი 8.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, მათი მშობლების განათლების დონის განაწილების მიხედვით



- **ყოველი ათიდან, ოთხი რესპონდენტის დედას, მის ბავშვობაში, სახლს გარეთ არ უმუშავია.** რესპონდენტების უმრავლესობის, 53 პროცენტზე მეტის თქმით, დედა მის ბავშვობაში სახლს გარეთ მუშაობდა, ხოლო 44 პროცენტისთვის ეს ასე არ იყო. ქალი რესპონდენტების 47 პროცენტის განცხადებით, მის ბავშვობაში დედა არ მუშაობდა სახლს გარეთ, კაცი რესპონდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 41 პროცენტს შეადგენს.[11]

[11] დაკლებული მნიშვნელობები არ არის შეტანილი პროცენტულ ჯამებში.

კაცების ჩართულობა საოჯახო საქმეებში

- **ათიდან მხოლოდ ორი რესპონდენტი გაიზარდა ოჯახში, სადაც მამა ყოველდღიურად მონაწილეობდა საოჯახო საქმეებში[12].** როდესაც რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ რამდენად ხშირად მონაწილეობდნენ მათი მამები ოთხ რუტინულ საოჯახო საქმეში (საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, ტანსაცმლის გარეცხვა, აბაზანის დასუფთავება), რესპოდენტების 78 პროცენტმა უპასუხა: „არასოდეს“ ან „იშვიათად“. გამოკითხულ ქალებსა და კაცებს შორის ეს პროპორცია თითქმის თანაბარია, კაცების 78 პროცენტი და ქალების 79 პროცენტი ამბობს, რომ მის ბავშვობაში, მამები ამ ოთხ საოჯახო საქმეში იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

- **რესპონდენტების ბავშვობაში, მხოლოდ, დაახლოებით, ყოველი მეორეს მამა ზრუნავდა რეგულარულად შვილებზე.** გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რუტინული საოჯახო საქმეებისა, რესპონდენტები მათი მამების სხვა საოჯახო საქმეებში ჩართულობის შესახებაც გამოჰკითხეს. ყოველმა მეორე გამოკითხულმა განაცხადა, რომ მამა იშვიათად ან არასოდეს ზრუნავდა მასზე ან მის და-ძმაზე. ამის შესახებ განაცხადა, ქალების 56 და კაცების 53 პროცენტმა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ყოველი ოთხი რესპონდენტიდან ერთი ამბობს, რომ მამა მასზე „თითქმის ყოველდღე'“ ზრუნავდა. როგორც ჩანს, ზრუნვის გენდერულ მოდელებს, რომლებიც რესპონდენტთა ახლანდელ ცხოვრებაში ირეკლება, ფესვი მათ ბავშვობაში გაუდგამთ. მაგალითად, როგორც წინა თავშია აღწერილი, ყოველი სამი გამოკითხული ქალი რესპონდენტიდან, ორი აღნიშნავს, რომ შვილების მოვლაზე პასუხისმგებელი, ჩვეულებრივ, თავადაა.

- **მამების მონაწილეობა უფრო შესამჩნევი სახლთან დაკავშირებულ სხვა საქმეებში იყო.** მაგალითად, გამოკითხულთა 53 პროცენტი აცხადებს, რომ მამა სახლისთვის საჭირო ნივთების შესაძენად დადიოდა, ხოლო 50 პროცენტს მამა საშინაო დავალებების შესრულებაში ეხმარებოდა. გამოკითხული ქალებისა და კაცების პასუხების თანაფარდობა მსგავსია და ერთსა და იმავე ტენდენციებს ავლენს. [13]

ბავშვობის სახლში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მამაკაცების მონაწილეობა

- **ყოველი ხუთი გამოკითხულიდან ერთი ამბობს, რომ მის ბავშვობაში, შვილთან დაკავშირებულ საბოლოო გადაწყვეტილებას დედა იღებდა, ხოლო თითქმის ორჯერ მეტმა განაცხადა, რომ ამას მამა აკეთებდა.** გამოკითხულთა 40 პროცენტი აცხადებს, რომ მასთან და მის და-ძმასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს მშობლები ერთად იღებდნენ. 20 პროცენტი აცხადებს, რომ ამას დედა აკეთებდა, ხოლო 37 პროცენტი ამბობს, რომ საბოლოო სიტყვა მამას ეკუთვნოდა. პასუხები გადაწყვეტილების მიმღები დედის შესახებ გენდერულ ჭრილში მსგავსია, მაგრამ მეტი კაცი, სულ 44 პროცენტი, ამბობს, რომ მის ბავშვობაში მამა მეტად იყო გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი, როდესაც ქალების შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 32 პროცენტია.[14]

- **მსხვილ ფინანსურ ინვესტიციებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შესახებ კითხვაზე, ოთხჯერ მეტმა რესპონდენტმა უპასუხა, რომ საბოლოო სიტყვა მამას ეკუთვნოდა.** შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებად დედა ოთხჯერ ნაკლებმა გამოკითხულმა დაასახელა. განსხვავება განსაკუთრებით

[12] ეს პროცენტული მაჩვენებელი წარმოდგენილია შედგენილი ცვლადით, რომელიც დგება შემდეგი მეთოდით: პასუხები გროვდება მამების სახლის საქმეებში (საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, ტანსაცმლის გარეცვა და აბაზანის ან ტუალეტის დასუფთავება) მონაწილეობის სიხშირის შესახებ კითხვების მიხედვით. მაგალითად, თუ რესპონდნეტი ამბობს, რომ მისი მამა მონაწილეობდა ერთი ვალდებულების შესრულებაში უფრო ხშირად ვიდრე არასდროს ან იშვიათად, ან თითქმის ყოველდღე, კვირაში ერთხელ ან თვეში რამდენჯერმე, ის შევა იმ რესპონდნეტების 22 პროცენტში, რომელთა მამებიც მონაწილეობდნენ საოჯახო საქმეში. ოთხიდან რომელიმე დებულებაზე გაუცემელი პასუხი არ შევა ანალიზში.

[13] გამოტოვებული პასუხები არ არის შეტანილი მთლიან პროცენტულ მაჩვენებლებში.

[14] გამოტოვებული პასუხები არ არის შეტანილი მთლიან პროცენტულ მაჩვენებლებში.

მკვეთრი იყო პასუხებს შორის დასმულ კითხვაზე იმის თაობაზე, თუ ვინ იღებდა მნიშვნელოვან ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილებას რესპონდენტის ბავშვობის სახლში. რესპონდენტების 41 პროცენტის თქმით, გადამწყვეტი მამის სიტყვა იყო და მხოლოდ 10 პროცენტმა თქვა რომ ამას დედა აკეთებდა. მეტმა მამაკაცმა, სულ 50 პროცენტმა, განაცხადა, რომ მამა იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას, როდესაც ქალი რესპონდენტების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 34 პროცენტს შეადგენდა. მეტი ქალი, სულ 53 პროცენტი, აღიქვამდა გადაწყვეტილების მიღებას ერთობლივ პროცესად და მხოლოდ კაცების 40 პროცენტმა განაცხადა იგივე.

საოჯახო საქმის განაწილება ბავშვობისა და სრულწლოვანების პერიოდებში

- **საოჯახო საქმის გენდერული როლების მიხედვით განაწილება თაობებში ნარჩუნდება.** ძირითადად, ქალების მიერ შესრულებულ რუტინულ საოჯახო საქმეში (საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, ტანსაცმლის გარეცხვა, აბაზანის დასუფთავება), მამების მონაწილეობის შესახებ კითხვასთან ერთად, რესპონდენტებს ამ საქმეების მათ საკუთარ სახლებში, პარტნიორებს შორის გადანაწილების შესახებაც ვკითხეთ. პასუხები ადასტურებს, რომ ეს ყველაფერი, თაობების განმავლობაში, კვლავ მხოლოდ ქალების საქმედ რჩება. მაგალითად, გამოკითხულთა 80 პროცენტი ამბობს, რომ მათი მამები იშვიათად ან საერთოდ არ იყვნენ ჩართული საჭმლის მომზადების პროცესში, 83 პროცენტი ამბობს, რომ მათ ოჯახში ახლაც საჭმელს, ძირითადად, (თითქმის სულ) ან ყოველთვის, მხოლოდ ქალები ამზადებენ. ასევე, 89 პროცენტი აცხადებს, რომ მათი მამები სახლის დალაგების პროცესში არ მონაწილეობდნენ, ხოლო 92 პროცენტი ადასტურებს, რომ სახლს, ძირითადად (თითქმის სულ) ან ყოველთვის, ქალები ალაგებდნენ. პასუხები ტანსაცმლის გარეცხვასა და აბაზანის დასუფთავებასთან დაკავშირებითაც მსგავსია - 90 პროცენტზე მეტი გამოკითხული ადასტურებს, რომ ეს საქმეები ოჯახებში მხოლოდ ქალების პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება.

ძალადობასთან დაკავშირებით ბავშვობაში მიღებული გამოცდილება

- **ყოველი მეხუთე კაცი რესპონდენტი ამბობს, რომ ბავშვობაში ძალადობის გამოცდილება ჰქონია.** კითხვაზე, უცემიათ ან დაუსჯიათ თუ არა სკოლაში მასწავლებლებს, კაცების 20 პროცენტმა თქვა, რომ ასეთი რამ „ხანდახან“ მომხდარა, ქალებში კი ეს მაჩვენებელი 8 პროცენტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების უმრავლესობის განცხადებით, არასოდეს გამოუცდიათ ძალადობა ან ბულინგის რაიმე ფორმა, ფაქტი, რომ ქალებთან შედარებით, კაცები ორჯერ და მეტჯერ განიცდიდნენ ძალადობას მასწავლებლების მხრიდან, გვაფიქრებინებს, რომ ფიზიკური დასჯა სკოლაში კვლავაც გენდერული ნიშნით გრძელდება.

- **სექსუალური ძალადობა ბავშვობაში იშვიათია.** კითხვაზე, ჰქონიათ თუ არა ბავშვობაში იძულებითი სქესობრივი კავშირი, ან რაიმე სახის იძულებითი სექსუალური კონტაქტი, რესპონდენტთა 96 პროცენტმა განაცხადა, რომ მსგავსი გამოცდილება არასოდეს ჰქონია, რესპონდენტთა ორმა პროცენტმა კითხვას არ უპასუხა.

- **რესპონდენტების 15 პროცენტს ბავშვობაში მკაცრი ფიზიკური დასჯის გამოცდილება ჰქონია.** კითხვაზე, უცემიათ თუ არა ისინი მშობლებს, ან სილა თუ გაურტყამთ, 16 პროცენტმა განაცხადა, რომ ასეთი რამ „ხანდახან“ ხდებოდა, ხოლო ორმა პროცენტმა განაცხადა, რომ მსხვერპლი ძირითადად კაცები იყვნენ - სულ კაცების 18 და ქალების 14 პროცენტი. რესპონდენტების 97 პროცენტი ამბობს, რომ ოჯახში არასოდეს უცემიათ ისე ძლიერ, რომ ძალადობას კვალი

დაეტოვებინა. ის ფაქტი, რომ ყოველი მეხუთე ბიჭი, სახლსა და სკოლაში, თანაბრად განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას, გვაფიქრებინებს, რომ მკაცრი დისციპლინის დამყარებისა და დასჯის მიზნით, სკოლებსა და ოჯახებში, ბავშვებზე ძალადობა დღესაც გრძელდება.

- **ქალებზე მეტმა კაცმა განაცხადა, რომ უნახავს, როგორ განიცდიდა დედა პარტნიორის მხრიდან ძალადობას.** ქალი რესპონდენტების 95 პროცენტის განცხადებით, ისინი არასოდეს შესწრებიან მეუღლის ან პარტნიორის მიერ დედის ცემის ფაქტს, როდესაც იგივე მხოლოდ კაცების 90 პროცენტმა თქვა. კაცების ექვსი და ქალების სამი პროცენტის თქმით, ამგვარ ფაქტს „ხანდახან“ შესწრებიან. როგორც ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ ნაწილში აღინიშნა, როდესაც ბავშვი ხდება აღმზრდელებს შორის მომხდარი ძალადობის ფაქტების მოწმე, ზრდასრულ ასაკში კაცი ძალადობს, ქალი კი ძალადობის მსხვერპლი ხდება.[15]

[15] Fleming et al. 2015; Hindin, Kishor, & Ansara, 2008; Fulu et al., 2017

დედების 47% და მამების 58% ამბობს, რომ თანაბარ დროს უთმობენ ბავშვთან თამაშს.



მიუხედავად ამისა, მამებს არ აქვთ განმსაზღვრელი როლი ბავშვზე ზრუნვაში.

დედების 78% და მამების 76% ამბობს, რომ ბავშვს საფენს/ტანსაცმელს დედა უცვლის.

ამ ნაწილში საუბარია, პარტნიორებს შორის ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის განაწილებასა და მშობლების მიერ ბავშვებთან დისციპლინის გამოყენებაზე.

ბავშვებზე ზრუნვის აქტივობათა გადანაწილება

- **ბავშვებზე ყოველდღიური ზრუნვა, მეტწილად, მხოლოდ დედების ძირითად მოვალეობად რჩება.** ბავშვების მოვლასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა აქტივობას დედები ასრულებენ. მაგალითად, ოთხი დედიდან სამი ამბობს, რომ, როგორც წესი, ბავშვებს საფენებსა და ტანსაცმელს თავად უცვლიან, ხოლო ოთხი მამიდან სამი პარტნიორის ნათქვამს ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმიანობაში მამები ნაკლებად ერთვებიან, დედებთან შედარებით, გარკვეული აქტივობები თანაბრად აქვთ განაწილებული. მაგალითად, ბავშვის ექიმთან წაყვანა, მასთან თამაში, საუბარი მის პირად პრობლემებზე, სკოლაში ტარება.

- **დედებთან შედარებით, მამები უფრო მიიჩნევენ, რომ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობები ოჯახში თანაბრად აქვთ განაწილებული.** მაგალითად, ყოველი მეორე მამა ამბობს, რომ ბავშვები სკოლიდან ორივეს თანაბარი სიხშირით გამოჰყავს, რასაც ათიდან მხოლოდ ოთხი დედა ადასტურებს. ასეთი განსხვავებები, ბავშვზე ზრუნვის სხვა აქტივობებთან დაკავშირებითაც ვლინდება. მაგალითად, როგორიცაა ბავშვის ექიმთან წაყვანა ან ბავშვთან პირად საკითხებზე საუბარი.

- **მამების, დაახლოებით, 20-40 პროცენტი აცხადებს, რომ არასოდეს გაუკეთებია ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებული ერთი ან ერთზე მეტი საქმე.** მამების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ არასოდეს გამოუცვლიათ ბავშვისთვის საფენები და თითქმის იგივე რაოდენობა აცხადებს, რომ არასოდეს დაუბანიათ ბავშვი. ყოველი მეოთხე მამა ამბობს, რომ არასოდეს დახმარებია შვილებს საშინაო დავალების შესრულებაში, და ყოველი მეხუთე მამა აცხადებს, რომ არასოდეს უსაუბრია ბავშვებთან მათ პირად პრობლემებზე.

სურათი 9.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, თუ რამდენად ხშირად გაუკეთებიათ სახლში ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებული საქმე



ბავშვის დისციპლინა

- **დედები და მამები აცხადებენ, რომ ბავშვის მიმართ სასჯელის გარკვეულ მკაცრ ფორმებს იყენებენ.** დაახლოებით, სამიდან ორი დედა და მამა აცხადებს, რომ ხანდახან საყვედურისა და სიტყვიერად დასჯის ფორმასაც მიმართავენ. დედები მამებზე ხშირად სჯიან ბავშვებს ფიზიკურად (დედების 39 და მამების 24 პროცენტი). მშობლების მიერ ბავშვების ფიზიკური დასჯის მაჩვენებელი, ზოგადად, დაბალია, თუმცა ჩანს, რომ, ამ მხრივ, დედების რაოდენობა ორჯერ აღემატება მამებისას - ბავშვს ფიზიკურად სჯის დედების 15 და მამების 6 პროცენტი. შესაძლოა, ბავშვების მკაცრად დამსჯელი დედების რაოდენობა მამების რაოდენობას იმიტომაც აღემატება, რომ ისინი ბავშვებთან გაცილებით მეტ დროს ატარებენ, რაც დედებსა და მამებს შორის ბავშვზე ზრუნვის განაწილების შესახებ ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდანაც ჩანს.

ამ ნაწილში წარმოდგენილია გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული კანონებისა და პოლიტიკის, მაგალითად, დეკრეტული შვებულებების, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი და ძალადობის ამკრძალავი კანონმდებლობისა და ქალების პოლიტიკური ჩართულობისთვის განსაზღვრულ კვოტებთან დაკავშირებით, რესპონდენტების ინფორმირებულობისა და ამ საკითხების მიმართ მათ დამოკიდებულებაზე გამოკითხვის შედეგები.

მამის დეკრეტული შვებულების შესახებ კანონმდებლობის ალქმა

- **მამის დეკრეტული შვებულების მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებობის შესახებ გამოკითხულთა ნახევარმა იცოდა.** მათი 54 პროცენტი აცხადებს, რომ არაფერი იცოდნენ კანონზე, რომელიც ახალბედა მამას შვებულების აღების უფლებას აძლევს, ხოლო, დაახლოებით, 20 პროცენტს ეგონა, რომ მსგავსი კანონი საერთოდ არ არსებობდა. კანონის შესახებ ინფორმაციას უფრო მეტი ქალი ფლობდა, ვიდრე კაცი (ქალების 31 და კაცების 21 პროცენტი) და სავსებით თავდაჯერებულად აცხადებდა, რომ ასეთი კანონმდებლობა საქართველოში ნამდვილად არსებობს. საბაზისო 2013 წლის შემდეგ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მაშინ რესპონდენტების 91 პროცენტმა კანონის შესახებ არაფერი იცოდა (22 პროცენტი) ან დარწმუნებული იყო, რომ მსგავსი კანონი საერთოდ არ არსებობდა (69 პროცენტი).

„დეკრეტული შვებულება უნდა მიეცეს როგორც ქალებს, ასევე - კაცებს“.

მხარს უჭერს:



- **დაახლოებით, სამიდან ორი ქალი და კაცი მხარს უჭერს მშობლების დეკრეტული შვებულების, კონკრეტულად კი, მამის დეკრეტული შვებულების იდეას.** კითხვაზე, საჭირო იყო თუ არა კანონი მამის გარანტირებული დეკრეტული შვებულების შესახებ, სამი რესპონდენტიდან ორმა განაცხადა, რომ ეს ქალსა და კაცს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს. რესპონდენტებმა დადებითად უპასუხეს კითხვას, საჭიროა თუ არა კანონი, რომელიც დედებს დედის დეკრეტული შვებულების გამოყენების უფლებას მისცემს, ხოლო მამებს მამის დეკრეტული შვებულებისა. ბოლო წლების განმავლობაში, მამების შვებულების იდეის მხარდაჭერა გაიზარდა. 2013 წელს, ყოველი მეორე გამოკითხული ამბობდა, რომ მამების შვებულების კანონის საჭიროებას ვერ ხედავდა, და თითქმის იგივე რაოდენობა არ უჭერდა მხარს იდეას, რომ მამებისთვის შვეულების მიცემა დამსაქმებლის ვალდებულება ყოფილიყო.

სურათი 10.1: პროცენტული მაჩვენებელი რესპონდენტებისა, რომლებმაც იციან მამის დეკრეტული შვებულების არსებობის შესახებ და ვინც თანხმდება, რომ ეს საჭიროა



გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის აღქმა

- **გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი კანონის არსებობის შესახებ კაცები ქალებზე მეტად იყვნენ ინფორმირებული.** კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა გენდერული კანონმდებლობის შესახებ ინფორმაცია, კაცების 64 პროცენტმა დაადასტურა, რომ ჰქონდა, მაშინ როდესაც ქალების მხოლოდ 52 პროცენტმა იცოდა ამის შესახებ. საშუალოდ, დაახლოებით, ყოველ მეორეზე მეტი რესპონდენტი ფლობდა ინფორმაციას გენდერული თანასწორობის კანონის შესახებ.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის ალქმა

- **რესპონდენტების უმრავლესობამ, კონკრეტულად კი, ოთხიდან სამმა იცოდა კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას კრძალავს.** კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების 24 პროცენტმა არ იცოდა, რომ საქართველოში ასეთი კანონი საერთოდ არსებობს. როდესაც, კონკრეტულად, ქორწინებისას განხორციელებულ სექსუალურ ძალადობაზე ჰკითხეს, სამიდან ორმა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ, მეუღლის მხრიდან, სქესობრივი კავშირის იძულება სისხლის სამართლის დანაშაულია. ამ იდეის გარშემო გაურკვევლობაც იყო. კერძოდ, ყოველი მეხუთე რესპონდენტი ამბობდა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს სისხლის სამართლის დანაშაულად თუ მიიჩნეოდა. ამის მიზეზი, შესაძლოა, იურისპრუდენციასა და კანონებში გაუცნობიერებლობა იყოს, და სულაც არ ასახავდეს, რომ ქორწინებისას გაუპატიურება სოციალური ნორმად მიიჩნევა.

შეხედულებები გენდერული თანასწორობის შესახებ

- **დაახლოებით, სამიდან ორი გამოკითხული ეთანხმება აზრს, რომ გენდერული თანასწორობა ქალისა და კაცის თანასწორ უფლებებს გულისხმობს.** კითხვაზე, თუ რას ნიშნავს და რასთან ასოცირდება მათთვის გენდერული თანასწორობა, რესპონდენტების 62 პროცენტმა (ქალების 64 და კაცების 60 პროცენტმა) განაცხადა, რომ ეს ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობას ნიშნავს. დაახლოებით, ცხრა პროცენტი მიიჩნევს, რომ გენდერული თანასწორობა ქალებისა და კაცების მხრიდან ოჯახში თანაბარი უფლებებით სარგებლობას გულისხმობს. ათი პროცენტისთვის გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებების ხელშეწყობასთან არის დაკავშირებული. როგორც ჩანს, ახლო წარსულში, გენდერული თანასწორობის იდეა ქალების უფლებებთან გაიგივდა. 2013 წელს გამოკითხულთა 64 პროცენტი აცხადებდა, რომ გენდერულ თანასწორობას ქალებისა და კაცებისთვის თანასწორი უფლებების მინიჭებად მიიჩნევდა, თუმცა 3.5 პროცენტისთვის ის მხოლოდ ქალთა უფლებებს ეხებოდა. 2019 წელს, ეს მონაცემები, ორივე სქესის რესპონდენტის შეთხვევაში, ათ პროცენტამდე გაიზარდა. შესაძლოა, ასეთი შედეგი იმიტომაც მივიღეთ, რომ საქართველოში ქალთა უფლებების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ვრცელდება, ან, რაც კიდევ უფრო საგანგაშოდ მიგვაჩნია, ეს არის უკურეაქცია ყველასთვის სასარგებლო გენდერული თანასწორობის იდეაზე.

საქართველოში კვლავაც შენარჩუნებულია გენდერული თვალსაზრისით უსამართლო დამოკიდებულებები და ქცევები, თუმცა, ეს ყველაფერი, გენდერული თანასწორობის იდეის მიმართ მზარდი ინტერესისა და, ამ მიმართულებით, ცვლილების სურვილის პარალელურად ხდება. 2013-2019 წლების შედარებამ გარკვეული იმედისმომცემი ტენდენციები გამოკვეთა, მაგრამ გენდერული თანასწორობის მიმართულებით პროგრესის დასაჩქარებლად მეტი რესურსი და ყურადღებაა საჭირო. სფეროები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ, ქვემოთ არის აღწერილი.

გენდერულ როლებზე ტრადიციული წარმოდგენა იცვლება.

კაცების 60%
და ქალების მხოლოდ



მიიჩნევს, რომ ქალის მთავარი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა და არა პროფესიული კარიერის განვითარება.

ამ აზრს არ იზიარებს ახალგაზრდების ნახევარზე მეტი.

- **გენდერული ნორმები კვლავაც ახდენს გავლენას ოჯახური ვალდებულებების განაწილებაზე და ქალებს სხვა შესაძლებლობების გამოყენებაში უშლის ხელს.** ქალებმა პოლიტიკაში ჩართვის ძირითად დამაბრკოლებელ მიზეზად თავიანთი საშინაო პასუხისმგებლობები დაასახელეს. ამასთან, მეტი ქალი და კაცი ამბობს, რომ, ამავე პასუხისმგებლობების გამო, სამსახურში კონცენტრირება უჭირს. ეს სულაც არ აღმოჩნდება გასაკვირი იმის გათვალისწინებით, თუ როგორ არის განაწილებული პასუხისმგებლობები ოჯახში. ქალი რესპონდენტების დაახლოებით, 95 პროცენტის თქმით, ჩვეულებრივ ან ყოველთვის, „ქალის“ ისეთ საქმეს ასრულებენ, როგორიცაა საჭმლის მომზადება და დალაგება. მიუხედავად იმისა, რომ ოთხიდან სამი რესპონდენტის აზრით, კაცები ქალების მსგავსად უნდა მონაწილეობდნენ საოჯახო საქმეებში, პრაქტიკაში აუნაზღაურებელი შრომის ტვირთი არაპროპორციულად აწევს ქალებს. საოჯახო საქმის თანაბარი განაწილების მნიშვნელობის აღიარება და დაფასება, საქართველოში გენდერული თანასწორობის მისაღწევად კრიტიკული ნაბიჯია.

- **ბავშვზე ზრუნვა, ძირითადად, კვლავაც ქალის პასუხისმგებლობად განიხილება.** დაახლოებით, ოთხიდან სამი დედა ამბობს, რომ, ყოველთვის ან ჩვეულებრივ, სწორედ ისინი ზრუნავენ შვილებზე, მაგალითად, უცვლიან საფენებს და ა.შ. მამების თითქმის ნახევარმა თქვა, რომ არასოდეს დაუბანია შვილი ან გამოუცვლია საფენი. ბავშვის სკოლაში ტარების ვალდებულებას მამები, თითქოს უფრო ინაწილებენ, თუმცა დედებმა განაცხადეს, რომ ამასაც, მეტწილად, თავად აკეთებდნენ. ბავშვზე ზრუნვის ტვირთი, სხვა, აუნაზღაურებელ სამუშაოსთან ერთად, არაპროპორციულად აწვება ქალებს. ამიტომ მისი ხელახლა თანაბრად გადანაწილება ქალებისა და კაცების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია.
- **ქართულ საზოგადოებაში კვლავაც შენარჩუნებულია არასამართლიანი დამოკიდებულებები ქალთა ლიდერობის, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში როლისა და დასაქმების მიმართ.** კაცებისა და ქალების, დაახლოებით, ნახევარი მიიჩნევს, რომ პოლიტიკის სფეროს კაცი უფრო შეეფერება. ქალებზე მეტმა კაცმა განაცხადა, რომ ქალი ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში თავს კომფორტულად არ გრძნობდა. კარიერული წინსვლა ქალისთვის უფრო რთულად აღიქმება, ვიდრე კაცისთვის. თუმცა, გასული ექვსი წლის განმავლობაში, გარკვეული დადებითი ტენდენციები შეინიშნება. ახლა მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ თანაბრად კვალიფიციური ქალი ისევე კარგად შეასრულებს სამუშაოს, როგორც კაცი. ასევე, მეტი ადამიანი აფასებს დადებითად ქალების პოლიტიკაში მონაწილეობას. ქალების მუშაობის მიმართ დამოკიდებულება თაობებს შორისაც განსხვავებულია. ახალგაზრდა კაცები და ქალები, სულ უფრო მეტად ემხრობიან აზრს, რომ ქალებს მხოლოდ სახლსა და ოჯახზე მეტი მისწრაფებები აქვთ. ნორმებმა და დამოკიდებულებებმა, რომლებიც ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას აბრკოლებენ, შესაძლოა გენდერული დაყოფა გააძლიერონ - ქალი ოჯახზე პასუხისმგებელი, კაცი მარჩენალი და პირიქით.
- **რაც შეეხება ძალადობის მიმართ დამოკიდებულებას, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ამგვარ ქმედებას ხანდახან ამართლებენ.** ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის გაცხადებული შემთხვევების რაოდენობა საქართველოში დაბალია, ხოლო ეკონომიკურ და ემოციურ ძალადობას გამოკითხული ქალების 20-25 პროცენტი განიცდის. ზოგადად, ფიზიკურ ძალადობას რესპონდენტები არ ამართლებენ, მაგრამ, დაახლოებით, ყოველი მეოთხე ქალი და მესამე კაცი მიიჩნევდა, რომ ქალი ქმარს სექსზე უარს ვერ ეტყვის. კაცების ნახევარზე მეტის აზრით, ოჯახში ძალადობა პირადი საქმეა. ასეთი დამოკიდებულებები, შემთხვევების გასაიდუმლოება ან სტიგმა, ადამიანებს ძალადობის შესახებ გაცხადებისგან აფერხებს, რის გამოც, შესაძლებელია, ოჯახში ძალადობის მასშტაბი სათანადოდ ვერ შეფასდეს.
- **საჭიროა ცნობიერების ამაღლება დეკრეტული შვებულების პოლიტიკისა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონების მიმართულებით.** საქართველოში მხოლოდ ყოველმა მეორე ქალმა იცის გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი კანონმდებლობის არსებობის შესახებ. ქალების მხოლოდ 31 და კაცების 21 პროცენტი ფლობდა ინფორმაციას, რომ ქვეყანაში არსებობს კანონი, რომელიც მამას, შვილის მოვლის მიზნით, დეკრეტული შვებულების აღების უფლებას აძლევს. ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ექვსი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით. ამჯერად ისიც გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კანონი რესპონდენტებს შორის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და კანონების შესახებ ცნობიერების ამაღლება ადამიანებს აღნიშნულის თავის სასარგებლოდ გამოყენებაში დაეხმარება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის მხარდაჭერას სახლსა და სამსახურში, უნდა განსაზღვრავდეს იმ გენდერულ ნორმებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საოჯახო საქმის განაწილებაზე და განაპირობებენ ქალების გამოცდილებას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სამსახურში. ამასთან, საჭიროა ამაღლდეს ცნობიერება მამების დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით, მათი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. და ბოლოს, შემგუებლური დამოკიდებულება ოჯახში ძალადობასთან, ან მის პირად საკითხად მიჩნევა, უნდა შეიცვალოს, რათა ძალადობის შემთხვევების შესახებ მხვერპლთა მხრიდან გაცხადების წახალისება მოხერხდეს. ამ მხრივ, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული, მაგრამ, თანასწორობის მიმართულებით, კვლავაც ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი, რაც მთელ საზოგადოებას მოუტანს სარგებელს.

References

Heilman, B., Barker, G., and Harrison, A. (2017). The Man f A Study on Being a Young Man in the US, UK, and Mexico. Washington, DC and London: Promundo-US and Unilever.

Hindin, M. J., Kishor, S., & Ansara, D. L. (2008). Intimate Partner Violence among Couples in 10 DHS Countries: Predictors and Health Outcomes. DHS Analytical Studies No. 18. Calverton, Maryland, USA: Macro International Inc.

Fleming, P. J., McCleary-Sills, J., Morton, M., Levtov, R., Heilman, B., & Barker, G. (2015). Risk Factors for Men's Lifetime Perpetration of Physical Violence against Intimate Partners: Results from the International Men and Gender Equality Survey (IMAGES) in Eight Countries. PLOS ONE, 10(3), e0118639. https://doi.org/10.1371/journal.pone.0118639

Fulu, E., Miedema, S., Roselli, T., McCook, S., Chan, K. L., Haardörfer, R., ... Johnson, S. (2017). Pathways between childhood trauma, intimate partner violence, and harsh parenting: findings from the UN Multi-country Study on Men and Violence in Asia and the Pacific. The Lancet Global Health, 5(5), e512–e522. https://doi.org/10.1016/S2214-109X(17)30103-1

United Nations Development Programme. (2014). Public Perceptions on Gender Equality in Politics and Business. Tbilisi, Georgia: UNDP.

United Nations Population Fund. (2014). Men and Gender Relations in Georgia. Tbilisi, Georgia: UNFPA.

UN Women. (2020). Analysis of the Gender Pay Gap and Gender Inequality in the Labor Market in Georgia. Tbilisi, Georgia: UN Women.

2020